

40 / 2
387

საქართველო
ბიზნესი



№ 0122 — 5973



საქართველო

7
1987



სკოლის კუთვნილ ჩაის პლანტაციებში მსოფლიო ვაჭარბაისისთვის მოთხოვნი მარცხვამა

საქმიანი ბოზოცხროტი კეთილი უღვაჟი

ნუშვარ ავსხაზვა
ფოტო
თ. აბარდოხა

როცა ბოზოცხროტი ჩაის ფაბრიკის დირექტორმა, ქალბატონმა ნათელა ჩელეზაძემ ჩემი ვინაობა და სტუმრობის მიზანი შეიტყო, მითხრა:

— კი ბატონო, ყველაფერს ვიამბობთ, ოღონდ ძალიან გთხოვთ, როცა ნარკვევის წერას შეუდგებით, უფრო მეტი ბეჭედი ილაპარაკეთ და ნაყლები — ჩემზე!

— რატომ? — შევეკითხე.
— რამდენჯერ უნდა ვაუწყოთ მობარდებს ერთი და იგივე — ბოზოცხროტი ნათელა ჩელეზაძე პირველი ქართველი პიონერია, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ... მას შემდეგ თითქმის ოთხი ათეული წელი გავიდა, უფრო ზუსტად — 38 წელი...

— კი მაგრამ, ახლაც პიონერებთან რომ ხართ?

— აბა ვისთან უნდა ვიყო? — გავიკვირე.

● ბოზოცხროტი ერთი საშუალო სკოლაა. დიდი არ ეთქმის, სულ 517 მოსწავლეს ითვლის, რომელთაგან თითქმის ნახევარი — 249 — პიონერია, მაგრამ ქობულეთის რაიონის სკოლებს შორის მას მოწინავეთა რიგებში იხსენიებენ ხოლმე.

ბოზოცხროტი სახელოვან მეჩაიეთა სოფელია და გასაკვირი არც არის, რომ ნათელა ჩელეზაძის სახელობის რაზმეულის ყოველ პიონერს სწავლისაგან თავისუფალ დროს ჩაის ხვევადოვანი პლანტაციებისკენ მიუხარია. ბარაქიანი ხელი აქვთ აქაურ გოგონებსა და ბიჭუნებს: მართო თვენახევარში — 1 სექტემბერიდან 15 ოქტომბრამდე მათ 55 ტონამდე ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფეს. აქედან თითქმის ნახევარი (25 ტონაზე მეტი) ოთხი პიონერული რაზმის — მეშვიდე და

მერვეკლასელების ანგარიშზეა. „საუკეთესო მეჩაის“ სახელი დამკვიდრეს მეშვიდეკლასელებმა ლელა გორგაძემ, მზია გოგიტიძემ, ირინდი მსხალაძემ, მერვეკლასელებმა ირმა მსხალაძემ, ეთერ კონცელიძემ და სხვებმა, რომლებიც ყოველდღიურად 30-40 კილოგრამ ჩაის ფოთოლს აბარებენ მიმღებ პუნქტს.

— სკოლის მინი-კომპიუტერობას, რომელსაც მეცტრეკლასელი დარისპან თურმანიძე თავმჯდომარეობს, — გვიყვება სკოლის დირექტორი იზოლდა ვერულიძე, — საკუთარი ჩაის პლანტაცია და ციტრუსების ბაღი აქვს. ჩაის 1,8 ჰექტარი ფართობი უყვია, ციტრუსებს — 2,4 ჰექტარი. ეს პლანტაცია და ბაღი ნათელა ჩელეზაძემ და მისმა ამხანაგებმა გააშენეს მათი პიონერობის დროს.

— ჩვენმა სასწავლო-საწარმოო

კოლმეურნეობამ ბობოყეთის კოლმეურნეობის გამგეობის დახმარებით, — გვიამბობს სკოლის პიონერ-ხელმძღვანელი ეთერ დედოფალიძე, — გააშენა სამანტა სმიტის სახელობის „მშვიდობის ბაღი“, სადაც 60 ძირი მანდარინი გაეხარეთ. ეს მეშვიდედკლასელთა ინიციატივა იყო. წლებულს პირველ მოსავალს ავიღებთ, მთელი მოსავლის საფასური ყოველწლიურად მშვიდობის ფონდს გადაერიცხება.

ეს — რაც შეეხება სპეციფიკურ შრომით საქმიანობას, მაგრამ ბობოყეთელი მოსწავლეები არც „ჩვეულებრივ“ საქმეებში ჩამორჩებიან საქართველოს სხვა რაიონებში მცხოვრებ თანატოლებს: მათ შეაგროვეს და ჩააბარეს 11 ტონაზე მეტი ჯართი და 2 ტონაზე მეტი მარცხენი და მარჯვენა მარცხენი კულტურა; დაამზადეს 22 ტონა თივა (უფროსკლასელები საკოლმეურნეო სათიბში მუშაობდნენ); ჩაატარეს საინტერესო ღონისძიება — „ერთი დღე საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლში“, — გაეცნენ თერძის, დალაქის, ხარაზის, მესაათის საქმიანობას; შეგობობენ სმო-

ლენსკის, სარატოვის, გირენის (ბულგარეთი), უკრაინის სოფელ ნეჩაის, საქართველოს სხვადასხვა ქალაქის პიონერებთან; შეხვედრებს უწყობენ შრომის გმირებს (ბობოყეთში 19 სოციალისტური შრომის გმირია), ომის, შრომისა და პარტიულ-კომპაგნიური მუშაობის ვეტერანებს... და, რა თქმა უნდა, არ ავიწყდებათ მთავარი — ბეჭითი სწავლა. შარშან ერთი მარჯვენადგანგეული რაზმი ჰყავდათ — მე-5 ა კლასი. ლიონია გოლიკოვის სახელობის რაზმი. წლებულს ამ წოდების მოსაპოვებლად მეექვსე და მეშვიდედკლასელი პიონერებიც იბძვრიან. ენახათ, ვინ გამოიჩენს თავს!

როცა ბობოყეთელ პიონერთა ცხოვრება-საქმიანობას ვეცნობოდი, რატომღაც თვალწინ მაგიური სამკუთხედი წარმომიდგა, რომლის ერთ გვერდს სკოლა წარმოადგენს, მეორეს — საწარმო (ბობოყეთის ჩაის ფაბრიკა), მესამეს — კოლმეურნეობა.

მკვიდრო კავშირ-ურთიერთობაა სამივე მათგანს შორის.

ბობოყეთის კოლმეურნეობა აღაშენა ჩაის ფაბრიკა ერთმანეთს! ეჭვირებას ბიან საშუალო სკოლის შეფობაში. მათი ძალებით ყოველწლიურად ეთილწყობა სკოლის შენობა და ეზო; მათი ზრუნვის შედეგია, რომ სკოლის 300 ადგილიან სააქტო დარბაზს საკუთარი კინოსაპროექციო აპარატი აქვს და მოსწავლეებს შეუძლიათ გაკეთილების შემდეგ ნახონ სინტერესო კინოფილმები (ფირები კინოგაქირაავების რესპუბლიკური კანტორიდან მიაქვთ); მათი დაზღუბებული პიონერთა ოთახსა და ინტერკლუბში დადგმული ოცდაათამდე სტენდი; ისინი ურემონტებენ სკოლას წყალსადენს, ელექტროგაყვანილობას, გათბობის სისტემას. სამაგიეროდ, გარდა ჩაის პლანტაციებში გულიანი შრომისა, მოსწავლეები, თავის მხრივ, მხარში უდგანან უფროსებს: მოსკოლის აღების დროს მუშაობენ კოლმეურნეობის შემფუთავ ქარხანაში, ქედენს და არემონტებენ ყუთებს, ახარისხებენ ციტრუსოვანთა ნაყოფს; არც ხის ძირების შემობარავზე ამბობენ ხოლმე უარს; ზაფხულის არადღეგების დროს VII-VIII-IX კლასელები კვირაში რამდენჯერმე შეაღებენ ხოლმე ჩაის ფაბრიკის ეზოს ჭიშკარს, მონაწილეობენ ტრაპეზის შექცევაში, ნაყოფის დაბარისხებასა და შეფუთვისში. მადლობითა და სიყვარულით იხსენებენ ხოლმე



ბობოყეთის ჩაის ქაბუხში პირველი პიონერი ჩამოტანადა ხელოსანი

საქართველოს კავშირის და პ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა რეკონსტრუქციის სახელობის საკავშირო ფაბრიკა

პიონერი 1926 წელს და

საქ. კვ შრომის პიონერებისთვის 7 ივლისი 1987

საქ. სსრ კ. მარქსის ს.ხ. სახ. ინსტიტუტის პ. გლიცოვი




ციკლისტებს მიუჩენს ხოლმე მათ დამრიგებლებად და ამიტომაცაა, რომ ფაბრიკაში ჩატარებული მწარმოებლური შრომის გაკვეთილები მუდამ მაღალი დონისაა.

ამ „სამკეთხა“ ურთიერთობაში კიდევ ერთი რამ არის საინტერესო და საყურადღებო: სკოლის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი დი-

სამოცი — სოფელშიც [დაჩქქ] მეტყველებს, მაგალითად, მხარშიაის სპეციალობა ათევისა (იგი ჩაის ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანია), როლანდ პაქსაძე ელექტრიკოსად მუშაობს... საერთოდ, ფაბრიკის უკლებლივ ყველა თანამშრომელი — დირექტორი, მთავარი ინჟინერი, ტექნოლოგი თუ

პარზი
მეურნე
წინასწარ
იზარაბებს
სოლმა
ბარას



ფაბრიკის მუშები ელიზბარ ცივაძეს, ავთანდილ ჯაფარიძეს, მამუკა სულამანიძეს, ნუგზარ მართალაშვილს, ნუგზარ მახარაძესა და სხვებს. ფაბრიკის დირექტორი, ქალბატონი ნათელა ჩელებაძე ყოველთვის გულთბილად ხვდება მშობლიური სკოლის პიონერ-მოსწავლეებს, მცოდნე სპე-

დი ქალაქებისაყენ კი არ მიისწრაფვის, არამედ მშობლიურ სოფელში რჩება და ან ჩაის პლანტაციებსა და ციტრუსოვანთა ბაღებში მუშაობს, ან კიდევ ჩაის ფაბრიკაში უდგას მხარში უფროსებს. ჟოუნდაც შარშანდელი კურსდამთავრებულები გავისხენოთ: სულ 81 იყო, და ამთავან



ჩაის
შეფუთვასაც
ცოდნა
უნდა

მუშა — 80 კაცზე მეტი — სულ აღვილობრივი კადრია, ბობოყეთის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული.

— უარაღება!
ლაპარაკობს
სკოლის
რადიოკამანი:
მონისინეთ
სკოლის
ახალი
აგზანი...

ასე, ხელიხელჩაკიდებულნი აკეთებენ საქვეყნო საქმეს ჩვენი წარმოსახვითი „მაგიური“ სამკუთხედის შემადგენელი — სკოლა, საწარმო და კოლმეურნეობა. და მთავარი ის კი არ არის, რომ ამ დროს რალაც მატერიალური ღირებულება (მოკრეფილი ჩაი თუ ციტრუსი, შეგროვებული ჭარბი თუ თივა...) იქმნება, არამედ ის, რომ ამ მრავალმხრივსა და საინტერესო ურთიერთობაში იწრითობა და იხვეწება მოზარდის ხასიათის თვისებები, რის შედეგადაც ყალიბდება ოცდამეერთე საუკუნის მოქალაქის, ხვალისდელი საქართველოს მოქალაქის პიროვნება.

კურდღლები და ჩაინდები

საქალაქი
მ. თ. ს. რ. ბ. ა.

დღერფინში ცივად, უსიამოვნოდ გაიღრიალა მესუ-
თე გაკვეთილის მაცნე ზარმა, რომელსაც ფეხდაფეხ მე-
მოპყვა რვეულებით დატვირთული ქართული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებელი — გიორგი დარასველიძე.
რვეულები კარგმთვე შეაჩნა სულში ნინო ნაჭვების —
დარბრეკო, თვითონ დაფასთან მიდგა და საკლასო საშუ-
აშო თემა დაწერა: „ჩემი კლასი“.

— ვაჰ! — აღმოსნდა კლასს და ისეთი სმაური ატყვდა,
თითქოს რვაქტიული თვითფრინავი იღებდა სტარტს.
ამ თემას არავინ მოელოდა. ნაღდად ეშმაკურად იყო
მოფიქრებული. გადაწერის საშუალებად რომ მოეცათ,
მანინ ვერსაიად ვერ გადაინწერდი. საერთოდ, გიორგი
მასწავლებლის ვაკვეთილზე „შპარვალიკით“ სარგებლო-
ბაზე ოცნებაც კი არ შეიძლებაოდა.

— დასნედი, დასნედი! რა იყო, რამ აგაღელვებთ?
— დიდილით შემოგვექერის იგი; თვალგებში სალსისანი,
ემშპური სხივები უციაგებს და თითვეს ოთხსად გაკე-
ციოდ, გაქითიანებულ ცსირსასოცზე იწმენდა. — მგლობ-
რებო, საშუალება გექვლავთ გამოავლინით თქვენი სა-
ლასი ნიჭი. დრო უმირავი გვაქვს: ბოლო გაკვეთილია,
სვალ კვირაა, ასე რომ, საჩუბრო არაფერია!

— დღეს მე ვარჯიში მაქვს, პატივემულო! — უიმე-
ლოდ ახსაღებს ცაცია ჯიმი.

— არა უშავს, ჯიმიშერ. ფიზიკური ვარჯიში შენ არ
გაკლია. გონებაც უნდა ავარჯიშო, გონებაც! კარგად
დაფიქრდით, იცხო თვალთი შესვლეთ თქვენს კლასს.
როგორი იყო და დღეს როგორია, რა მოგწონთ და რა
არ მოგწონთ მისი. აბა, შე, კეთილ შურგის ქარს გისურ-
ვეთ!

გიორგი მასწავლებელი ტანმორჩილია, ვერცხლის-
წყალივით მოძრავი. ჩვენი ნიჭისა და უნარის გასავითარ-
ებლად, გამოსავლინებლად რას არ მოიგონებს სოლმე!
რეშაჯადობელი გაკვეთილები აქვს, რომლებზედაც სან
ისეთი სიწმემა, გარეთ ჩალოლი კაცი იფიქრებს, კლასი
ცარიელიაო, შოგჯერ კი ისეთი მღვლვარება გვეუფლება
(ეს მაშინ, როცა ლიტერატურული გმირების დასასათე-
მა და, როგორც თვითონ უყვარს თქმა, სავეფე გასა-
მართლება მიდის), რომ იფიქრებს, ვულკანი იფიქრევაო.
ბავშვებზე შეყვარებული რომაა, იქიდანაც ჩანს, ასეთი
ახალგაზრდა (ოცდათექვსმეტი წლისა), უკვე ფილოლო-
გურ მეცნიერებათა დოქტორია, მაგრამ სკოლიდან წას-
ვლა არ უნდა. შესედავ თუ არა, იგრძნობ, რომ კეთილი,
პატიოსანი, მტკიცე სასიამოვნო და ნებისყოფი კაცია:
მისი კრიტიკული წერილები, ლიტერატურული გამოკე-
ლევები და სტატიები სშირად იბეჭდება რესპუბლიკისა


და საკავშირო პრესის ფურცლებზე.
რვეული გადავშალე და დაფიქრდი: „როგორია ჩემი
კლასი, როგორი იყო იგი, დღევანდელი მე-ვა?“

გვერდით ცაცია ჯიმი — ჯიმიშერ, ჯანშაიშელი მიზის.
კი არ ზის — ნახვრად წევს, რომ კარგად უყუროს
ჩვენან მარცხნივ, მეექვსე მერსს, რომელზედაც ნინო
ნაჭვებია ზის. ჯიმი ყოველთვის ეძებს ნინოს ღმილს,
მის მოწონებას. როცა ნინო ხანსათევა, მათ შეუძლიათ
სათობით ისხარბონ ათას სისულელეზე. მაგრამ როცა
ნინო დღეს და ჩვენ მხარეს არ ისედავ, ჯიმი კაცს არ
პგაუს; ასეთ დროს მასწავლებლებს სშირად უწევთ მისი
გაფრთხილება:

— ჯანშაიშელიო, სად დაფრინავ, ყურადღება ჩვენკენ,
ჩვენკენ!

საერთოდ, ამ გაზაფხულმა მთელი კლასი საოცრად
შეცვალა: ვოგონები, თითქოს ჯადოსნური ძალით, ერთ-
ბაშად დამაღლდნენ, ფერ-სორცილი აიხსნენ და გალამაზ-
დნენ. ბიჭებმაც თმა მოუშვეს, ლამაზად ჩაიცვეს, გაკოს-
ტავდნენ, სარკის წინ ტრიალებენ და სშირ-სშირად ივარ-





ცხინად შეიწირება. სიმაღლე გითხროთ, ვერძინობ, რომ
მეც მოკრძალებ. ასლა მთლიან ისე არ გამოვლ, სარ-
კეში არ ჩაიხედო, და სკოლის ექსტინიუღში შემოვალ
თუ არა, თვალში დიდი სარკისკენ გამიბრძინა. თუმცა
ძალიანაც არ მომწონს ჩემი თავი, მაინც მინდა ღამაზად
გამოვიყარებოდე. ადრე ასეთი რამ სულაც არ მაღარ-
ღებდა...

ჯიმი მოსარდებში რესპუბლიკის ჩემპიონია კრიე-
ში. მოსუდარად ამისა, სულაც არ არის ყოყონა და მო-
ნსუბარი. სწავლათაც კარგად სწავლობს, უსამართლო-
ბასა და კანონიერების დარღვევას ვერ იტანს, ამიტომაც
ემზადება მის დასავადად — იურისტობაზე ოქციზობს.
ჩვენს წინ მანუესტა შის — ნოფარ კობაძე. სულ ცქმუ-
ტავს და ტოკავს. სვლიევით სსარტი და მოქნილია. შე-
სანიშნავად ცეკვავს. რამდენიმე ფესტივალის ლაურეა-
ტი. სწავლამდე ვერ დასდებ წუსს. არ ვიცი, მომავალი
პროფესია ჯერ არჩეული არა აქვს თუ საიდუმლოდ ინა-
სავს, არაფერს ამბობს. სწავლით, ჩვენს კლასში კი არა,
მთელ სკოლაში სანიშნობა კობრა — შურაბ კობიაშვილი,
მედიკალი, თხელი, სათვალხანი ბიჭი. ზედვე ეტყო-
ბა, რომ ნამდვილი, დასწერილი ინტელიგენტი იქნება.
სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანია. ფიზიკაზე
კარგავს ვკვავს. სულ პირზე აჯერის: აინტინი, ნილს ბო-
რი, იოფე, პაიზემბერგი, შრედინგერი, კაიფე. კლასში
მეორეც ვეკავს მეცნიერებაზე მეოცნებე — ვანტან თო-
თობაძე, მეტსასწავლად — აქილევსი. აქილევსივით მარად
და ფესქარა. მისთვის ის დღეა ბედნიერი, როცა ქიმი-
ა ევაქტა და საშუალება ეძლევა სინჯარებსა და კოლუმებს
რეტირალის. მას რომ უკითხო, ქიმიის ის მეცნიერებაა,
რომელიც ასლა იდგამს ფესს და 21-ე საუკუნეში გაშ-
ლის ფრთებს. აქილას ვევერდი თუ უზის — რატი ჯო-
ლია. ჯო კლასში ყველაზე ტანადი და ღონიერია. თან,
ნაღდად, მათემატიკის ამომავალი ვარსკვლავი. საბოლო-
რამო მასალაში მისთვის ამოუსწნელი განტოლება არ
არსებობს. ოდნავ უკიდებს ენას. ალბათ ამის ბრალიც
არის, რომ ძალიან სიტყვაბუნწია. ჯო შესანიშნავი რეე-
ბისტია, ასალგაზრდული ნაკრების წევრი და სპორტის
ოქტატობის კანდიდატი. თან საოცრად დინჯი და აუღელ-
ვებელია. ჯოც კარგად სწავლობს. მაგრამ, საერთოდ,
ჩვენს კლასში ვოგონები ვაგილებით უკეთესად სწავ-
ლობენ, ვიდრე ჩვენ, ბიჭები, რადგან ვოგონები უფრო
ბეჭეთივით არიან, ჩვენ კი თათის რამე ვეიტაცებს, ათის
რამეშიც ეფდობოთ თავის გამოვლინებას... თათის გამოე-
ლინებაზე გამახსენდა: გუშინ, ის იყო გაკვეთილი უნდა
დაწვეულებოყო, რომ კლასში უცებ აქილევსი შემოვარდა
და მისმა სმამ კლასის გუგუნი დაფარა:

— ბიჭებო, სამხედროების სპორტულ კომპლექსს ან-
გრევევ!

წამით დღემით ჩამოვარდა და მერე ვრისმად გაის-
მა:

- ვინ გითხრა?!
- ასლა იქიდან მოვიდვარ! — აქილევსი გაოფლილ
სახეს სვლისგულით იწმენდს. — ბუღდოზური უკვე მოიყ-
ვანეს!

- წაიდე თუ ენასოთ! — ვამბო მე.
- გაკვეთილები?! — შეკრთა კობრა.
- დღააიციდის! — ამბობს ჯო. ეს იმას ნიშნავს, ვა-
ვეთილებს თუ ასით არა, ოთხმოცდათხუამეტის პროფესი-
ტი მიანც ჩაშლა ემუქრება, რადგან ჯო ყოველივის
გადაწვევებ სიტყვას ამბობს.
- მოიცადეთ, ჯერ კარგად გავიგოთ, რაშია საქმე! —
კობრა თავდადებით ცდლობს გაკვეთილების გაღარჩე-
ნას. ჩემთვის გასაგებია კობრას პოზიცია, იგი ორ
ცეცხლს შუაა. რაც არ უნდა იყოს, ყველაზე მეტად მას
მოსთხოვე პასუს.
- სანამ შენ კარგად ვაგივებ, სპორტკომპლექსი ფაფუ,
ალარ იქნება! — წყალი გადაურწრა აქილევსმა.
- კურდღლები რჩებიან, რაინდები მოიდან! — აცხა-
დებს ციცია ჯიმი და კარისკენ მიდის.
- მეც წამიყვანეთ, რა! — წინ გადაუდგა მეგი.
- ჯიმი ისე შემოშეურებს, თითქოს ჩემგან ითხოვს პა-
სუსს. მე გაურკვევლად ვიჩეჩავ მსრებს.
- წამოხე! — დიდსულოვნად გადაწყვიტა ჯიმი.
- მაშინ მეც მოვიდვარ! — გადჭრით ამბობს ნინო
ნაჭყებია და ღამაზ თავს მოხდენილად არსევს, რომ სა-
სეზე ჩამოსწალით თმა უკან გადაიყაროს.
- ყველანი მოვიდვართ! — გადაწყვეტით ამბობს მზე-
ქალა ნივარც და მართლაც მთელი კლასი დაიძრა.
- მოიგებ, ასე არ მოიკლება! — ყვირის განწირული
სმით კობრა, მაგრამ ერთსულვონად დაძრულ კლასს
ისიც ვევერდიტ იმიყვება.
- ავტობუსი მოიდის! — იძახის ნინო და უკანმოუსუდა-
დად გარბის. ჩვენ ფესდაფეს მივედეთ და სხაური თ ა-
დივართ ავტობუსში.
- ავტობუსის ბლო გაჩერებთან ქანალ გორაკებამდე
ორი ნაბიჯია. სპორტული კომპლექსი მათ ძირშია ვაშე-
ნებული. უკვე ვსედავთ, ყვითელი ბუღდოზური მისდ-
გომია სასუქდროების ყოფილი ადგილსამყოფელს შემოე-
ლებულ; ბეტონისა და რკინის გისოსებიან, სამი მეტრი
სიმაღლის ღობეს და მონდომებით ანჯრევს.
- მიჭებო, სწრაფად! — ვევისობს აქილა და ყველაზე
წინ გარბის ყვირილით!
- ვაჩეჩე! ვაჩეჩე!
- მეუღდოზურემ დაგეინას, მანქანა ვაჩეჩრა, კაბინი-
დან გადმოვიდა და მუსლუსზე დადგა. მაღალი, თხელი
კაცი, წვერგაპარსხავი და მშემოკიდებული. გაოცებუ-
ლი შემოგვეურებს.
- გამარჯობა, ძია კაო! — სმამაღლა, მოწინეით
ესალმება კობრა და სათვალეს თითით ისწორებს.
- ვაგიმარჯოთ! რაშია საქმე?!
- ეს არ უნდა დაანჯროთ! — კობრა გაურკვევლად
იქნება პაერში სელს. — ამის დანჯრევა როგორ შეიძ-
ლება!
- რომ არ შეიძლებოდეს, სომ არ დამანჯრევიანებდ-
ნენ, შე დალოცვილის შეილო. აქ სასლები უნდა აშენ-
დეს! — ნიმილით ამბობს მებუღდოზური.
- დახედო სხვაგან აშენის! — თქვა მანუესტამ, —
მინდორის მეტი რაა, რომ ეს არ დაგვიანგროს.



— მე რა ვიცი, შეილო, მითხრეს და უნდა გვაკეთო.

— არა, თქვენ ამას არ დაანგრევთ! — გაღაჭრით ამბობს აქილესი. — მოლოს და მოლოს ჩვენ არ მოგვემთ ამის ნებას!

— მე და თქვენ ვინ გვკითხავს, შეილო. მე პატარა კაცი ვარ და რასაც მიბრძანებენ, ის უნდა გვაკეთო. ასეა, შეილეზო. წადით ესლა და თქვენს გაკვეთილებს მიხედეთ!

— არსადაც არ წავალთ! — თქვა კობრამ ჯიუტად და ისევ შეისწორა სათავალი.

— თქვენი საქმეა! — მხრებში აიჩენა მებუღლოზერემ, კაბინაში ჩაჯდა, გასს მოუმატა და მანქანა გამაყრუებლად ადგანდგარდა. ჩვენ აქეთ-იქით გავიწიეთ. ბუღლოზერი შეტოკდა, ფარი ასწია და ნელა იწყო უკუსვლა. საკმაოდ დაგვიმორდა, მერე ფარი დაბლა დაუშვა და ას-ლა ისევ წინ დაიძრა. უცებ მეგი ადგილს მოსწყდა, ბუღლოზერისკენ გაუქანა და სუთითად მებრამდე რომ მიუახლოვდა, გაჩერდა, ფეხებში მხრების სიგანეზე გადგა და თავს ზემოთ ხელები გამოშალა. მანქანა კი ნელა და ჯიუტად მოიწვედა მისკენ. შიშისაგან გული შემეკუმშა. „სომ არ გავივია?!“ გავიფიქრე, და მევისთან გავჩნდი, სულზე წავავლე ხელი. მეგიმ დომილით შემომხედა. ბუღლოზერი კი საზარელი ურჩხულივით მოიწვედა ნელა და დაიკნებოდა, მარამ ჩვენ ასლა მის წინ ორნი ვიდევით, ხელისნელაჩადებულნი. ჩემს გვერდით უცებ გივი გან-

და და წამის მერე მთელი კლასი დაუდგა წინ ბუღლოზერს. მებუღლოზერემ ძრავა ჩააქრო, წუთით გაუნძრევლად იჯდა საჭესთან, მერე კაბინიდან გადმოვიდა და მუხლსზე შემდგარი გვეუბნება:

— კაცო, თქვენ შარი სომ არა სართ?! ჩემგან რა გინდათ, წადით, კაცო, თქვენს გაკვეთილებს მიხედეთ. ასეთი რამ გავიგია, ვაა!

— არსადაც არ წავალთ! — ჯიუტად ამბობს მეგი. — გითხარით, ჩვენ ამას არ დაგანგრევინებთ!

კაცი წუთით ჩაფიქრდა და მერე გვეუბნება:

— თუ ასე შეგტკივთ გული და მართლა არ გინდათ დაინგრეს, — თითს მაღლა იმეგრს, — იქ უნდა მისიფიფეთ და უფროსებს უთხარათ!

— სწორია! — წამოიძახა კობრამ, — კომკავშირის რაიკომში წავიდეთ!

— მე ააქ დღადარჩები, ყყოველი შემოსვევისათვის!

— თქვა ჯომ.

ათი კაცი ბუღლოზერთან დაეტოვეთ, ჩვიდმეტი კი რაიკომში წავიდეთ.

— თქვენ დღეს ვინ დავიბარათ?! ბიურო ხვალ არის, — გვიხარს მდივანმა ვოგონამ.

— ჩვენ კომკავშირში მიღების თაობაზე კი არა, საბორტული კომპლექსის გამო მოვედით და მდივნის ნახვა გვირდა, — აუღსა კობრამ.

— მდივანი პარტიის რაიკომის მდივანთან არის ასული და დაელოდეთ.

— არ ჯობია, რომ ჩვენც იქ ავიდეთ და ორივე მდივანი ერთად ვნახოთ? — თქვა მვეგიმ.

- სწორია!
- ჯობია!
- ავიდეთ!

მესამე სართულზე ავიდეთ და მდივანის მისაღები ერთბაშად ავავესეთ.

— თქვენ რაზე ხართ მოსული, ვინ დაგიბარათ? — გაკვირვებით შემოგვეჩქარის ქერა ქალიშვილი.

— სასწრაფო საქმე გვაქვს მდივანთან, გადაუდებელი საქმე! — წინ წადგა კობრა.

— მდივანს დღეს მივება არა აქვს; მაგრამ მაინც რა გაქვთ ასეთი სასწრაფო საქმე?!

— უცებ მუშაობდა გარეული კარი გაიღო და ერთი — მაღალი, მთლიანი, შუახნის კაცი და მეორე — საშუალო ტანის თხელი ახალგაზრდა გამოვიდნენ.

— ოჰო, ეს რა სტუმრები გვეყოლია! რა უნდათ ამით?!

— ჩვენ სპორტულ კომპლექსს ვევიზიტირებთ და თქვენ არ უნდა დაანგრევიანოთ! — თქვა მვეგიმ და სახე აუვარდისყურდა.

— რომელ კომპლექსზეა ლაპარაკი? არაფერი მესმის! — პარტიის რაიკომის მდივანი კომკავშირის რაიკომის მდივანს მიუბრუნდა.

— სამხედროების მიერ დატოვებულ სპორტულ კომპლექსზე ვამბობთ, ჩვენს მიკრორაიონში რომ არის. ბუღალტერი მოვიყვანეს და ანგრევს! — თქვა კობრამ და წამოხვილდა.

— ოთარ, ერთი გააუყვი ამით და გააჩქევი, რაშია საქმე, — მიუბრუნდა კომკავშირის რაიკომის მდივანს პარტიის რაიკომის მდივანი.

— არა, თქვენც უნდა წამოხვიდეთ და ნახოთ, პატივცემული! — კატეგორიულად განუცხადა მვეგიმ. — ახლავე თუ არ გავიციტო განკარგულება, დაევიზიტირებენ! — მე-გიმ თმა შეისწორა და ახალბერბულ სახეზე ხელი გააღიასა.

წამით დღემილი ჩამოვარდა.

— რა გეყურება, წამოვალ! — გაიღიმა რაიკომის მდივანმა, სელექტორთან მივიდა და ჩართო.

— გისმენთ, პატრონო ნოდარ! — გაისმა მამაკაცის მშრალი, მკვეთრი სხმა.

— გურამ, ჩემთან მოსწავლევ კომკავშირელები არიან, ზემო უბანში რაღაც სპორტულ კომპლექსს ანგრევენო და წამოსვლას მითხოვენ. წავიდეთ და ვნახოთ ერთი, რა სდება.

— კი პატრონო! თქვენი მანქანით წავიდეთ?

— მანქანა თქვენიც დავეკორდებო, ბუერნი ვართ!

ათ წუთით უკვე სპორტულ კომპლექსთან ვიყავით. ჩვენდა გასაოცრად, იქ დაგვიხვდნენ სკოლის დირექტორი და ვლენე მასწავლებელიც.

— თქვენც აქ ბრძანდებით, ქალბატონო ელიკო?! გამარჯობა! — თქვა პარტიის რაიკომის მდივანმა და ჩვენს მასწავლებლებს ხელი ჩამოართვა. — თქვენი ბავშვები ძალიან აძლევებლები არიან!

— მართალია, ამხანაგო ნოდარ, მიკრორაიონს

ასეთი რამე ჰქონდეს და დაანგრიონ, დანაშაულია! — მიუკო სკოლის დირექტორმა.

ყველამ ერთად დავათვალიერეთ კომპლექსი: ვესბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის შესანიშნავი მოედნებით, დიდებულად მოწყობილი სარბენი ბილიკებით, სიმაღლესა და სიგრძეში სასტუმო ორბოებით, დევირებით, ორბელბით, სიმაღლესი ასასვლელად საავარჯიშო გეგარდებით, ღია საცურაო აუზით, პატარა სპორტდარბაზით, გასასვლელითა და საშაპებით. ეს სამხედროებისა იყო. აქ იდგა რომელიღაც პატარა სამხედრო ნაწილი. ორი თვეა, რაც ისინი აქედან გადავიდნენ და ყველაფერი ხელუხლებლად დტოვეს. ორი თვეა, ეს ადგილი ჩვენი მიკრორაიონის ბავშვების საყვარელ ადგილად იქცა. თუმცა ვიღაც-ვიღაცებმა უკვე დაიწყეს მისი გაპარტახება. სპორტდარბაზის კარები ჩამოხსნეს, ფანჯრები ამოიღეს, საშაპებში ორსანები მოხსნეს, გაზონები გადათოვლეს.

— ამის დანგრევა მართლა დიდი დანაშაული იქნებოდა! — თქვა პარტიის რაიკომის მდივანმა. — მე და შენ, ამხანაგო გურამ, — მიმართა რაიკომის თავმჯდომარეს, — მოუხედავად იმისა, რომ ერთი თვეც არ არის ამ რაიონის სულმძღვეანად დავევით, მაინც არ გვეპატიება, რომ დღემდე არაფერი ვიციდით ამის არსებობაზე. ეს სწორად ისაა, რაც ასე პაეროვით ესაჭიროება მთელ ჩვენს ქალაქს. დღესვე გავიციტო განკარგულება, ხელი არაფერს ახლონ. რაც დანგრეულია, სასწრაფოდ აღადგინეთ და დარჩევი დანაშაული! თქვენც კი, ამხანაგო ოთარ, კომკავშირის რაიკომმა, შეგობა უნდა აიღოთ ამ კომპლექსზე. მე საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს და ქალაქის მთავარ არქიტექტორს დავეუკავშირებო. თქვენც კი, ამხანაგო, — მოვემართა ჩვენ, — დიდ მადლობას მოვახსენებთ ასეთი ყურადღებისათვის, ამ მტკიცე, მეტროლი, სწორი პოზიციისთვის. თქვენც სამი დიდი, ძალიან დიდი საქმე გააკეთეთ, ყოჩაღ! თქვენც ვმადლობთ, ქალბატონო ელიკო!

აღმათ პირველი სავანგო შემთხვევა იყო, როცა დირექტორი და ელენე მასწავლებელი არ ჯავრობდნენ ჩაილილი გაკვირვებულზე, არ ვითხოვდნენ, სვალ მშობლები მოიყვანეთო. ყველას დიდი სისწარული და სიამაყე აღბეჭდვოდა სახეზე. ჩვენ სასიკეთო, სასარგებლო საქმე გავაკეთეთ, გამოვადექით! საზოგადოებას, ეს ის ალიარეს, სახაროდ შეეგება, მადლობა გამოვიცხადეს! უფროსებს არასოდეს არ ავიწყდებოთ ჩვენთვის საყვედურის თქმა, დასჯა, გაიცხება, მაგრამ სწორად იფიქრებენ მადლობის თქმას, შექებას. ამაში ტუნდობდ. არადა, როცა ადამიანს აქვს, ის უკეთესი სდება — თავისი თავისხადმი პატივისცემა, ღირსების გრძობა უმატება.

გამარჯვებული, ფრთაშესხმული კლასი სმაურით, მხიარული სიცილ-ხარსარით ბრუნდებოდა სკოლაში. ანაშად მეგი ამომიგდა გვერდით.

- დევი, მადლობელი ვარ შენი!
- რისთვის, მეგი?! — ვეკითხები და ვჩერდები. მეგიც ჩერდება. ჩვენი თვალები ერთმანეთს სვდებიან.
- ბუღალტერთან მარტო რომ არ მიმტოვებ.



— არ შეგეშინდა?
 — როგორ არ შეგეშინდა, დევი! სომ ვიციდი, რომ არ გამიტანდა, მაგრამ ისეთი დიდი იყო და ისეთი ხაზარული გრიალით მოიწვედა, რომ ძარღვებში სისხლი გამეყინა, მაგრამ შენ როგორც კი ხელი მომიკიდე, შიში ერთბაშად გამოქრა. — და მიდიშის.

მოკვადოებულებით შევეურებ მის თეთრ, ფაქიზ სახეს, ცისფერ, ღიღროს თვალებს, რომლებიც იდუმალეობით მოსილი, თბილი ღიმილით ამომყურებენ.

— ნამოდი, დევი! — ხელზე ხელს მიკიდებს და ერთხანს დუმილით მივეყვებით ახმაურებულ კლასს. საოცარი სინაზე და ვაუნულებული სისარული გადმოდის შეგის პატარა, ნაზი სელიდან.

— დევი, ზეგ შენი დაბადების დღეზე, რა უნდა მოგიტანო, აბა, თუ გამოიცილებ?

— არ ვიცი, მეგი, — მხრებს ვიჩნავ.



— კარგად დაფიქრდი!
 — ვუფიქრობ, მაგრამ ვერაფერს ვხედეობი.
 — ჩვენი სურათი, დევი. მამამ მიიხრა, დაბადების დღეზე მიტანდა.

...უცებ ჩემი მზერა გვიის მოხვდა. დაფიქრებულნი, აზრბანი სახე აქვს და გამალებით წერს. „ნეტავ რას წერს?“ გვიფიქრე და მყისვე მივხვდი, საიდან დამეწყო ჩემს კლასზე წერა:

ჩვენი სახლი ერთ დროს ყველაზე ბოლო იყო ჩვენს კვარტალში. სახლს იქით ვრცელი ტაფობი იწყებოდა და, შორს, უსახო ქაჩალ გორაკებზე გრძელდებოდა. ტაფობს სამხრეთით ღრმა და განიერი უწყლო ხევი ჩაუდიოდა, რომლის კალთები ძეძვნართა და ღვიის ბუნჭებით იყო დაფარული.

ჩვენს სახლს ექიმების კორპუსს ექაზიან, რადგან იგი რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში შექმნილმა სამშენებლო კოოპერატივმა ააშენა და, ბუნებრივია, მისი წევრები ექიმები იყვნენ. თუმცა ამ სახლში სხვა პროფესიის ადამიანებიც ცხოვრობენ. ჩემი მშობლები ექიმები არიან. მამა ქირურგია, დედა — პედიატრი.

გაზაფხულის ერთ კვირა დღით, როცა მე, დედა და ქეთევანი — ჩემი უმცროსი და — სამზარეულოში ვიყავით, მამა კარს მოადგა და მსიარულად შესძახა:

— ო, საზოგადოება უკვე იღვწვის კუჭისთვის? დილა მშვიდობისა, ჩემო კარგებო!

ქეთევანს უცებ გაუბრწყინდა თვალები. რაღაცნაირად მიიწმინდა-მოიწმინდა და სმამინაზეულმა წამოიკნაღლა:

— მა-მეი-კოი! — და მისკენ გაქანდა.

— ჩემი ზღაპარი გოგო! — მამამ მკლავები გაშალა და ქეთევანი გულში ჩაიხუტა. — შენი თავი როგორა გეყავს, ქალბატონო თინათინ? — ქეთისთან ერთად დედანს მიყასლა.

— ასე ადრე რატომ ადექი, ლევი, წუსელ სომ მთელი ღამე გაათინე? — მზრუნველობით ჰკითხა დედამ, თან ქალური სინაზითა და მომხიბვლელეობით მკლავით სახიდან თმა გადაიწია და მამას სახე მიუახლოვა. ამ დროს ცალი ხელი ცოშში პქონდა, მეორეს კი თითქოს საგანგებოდ მალავდა ზურგს უკან. მამამ ლოყაზე აკოცა და შერე მე თმები მომიჩნა.

— ჩემო ვაჟკაციო, როგორა გაქვს საქმე? სომ მედგარად ვუტევთ მეცნიერების მაღალ ბასტიონებს?

— ფს! — წაიფხუკუნა ქეთევანმა და მამას მკლავებზე შეუქრა. — მაშეიკო, ვე ძალიან მედგარად უტევს. გუშინ გეოგრაფიაში სამიანი მიიღო. — თქვა და დამეწყყანა.

— რას იზამ, სანდახან ასეც სდება. მეცნიერება აბა რისი მეცნიერებაა, თუ აქეთაც არ შემოვიტია! — მამამ ღიმილით თვალი ჩამიკრა. ვერძნობ, როგორ ვწითლდები, სახეს განზე ვაბრუნებ. — შენ როგორა გაქვს საქმე?

— მე გუშინ სამი ფრიადი მივიღე. ამ კვირაში რვა სუთიანი მყავს! — ამაყად ამბობს ქეთი.

— „მეტინარა! — გავიფიქრე. — მეოთხეში მეც ბლომად ვიღებდი ფრიადებს. აბა, ვნახით, მეექვსეში რა გოგო იქნები!“

— შენ ყოჩალი გოგო მყავსარ! — მამა გულში ისუტებს ქეთის. ქეთი მუხს მიფიცხებულ კატსავით იტრუნება. მამა მე მიყურებს და ამბობს: — არც დევი გვეყავს ურიგო ვეკავი. მხოლოდ მეტი მონღოშიმე მართებს, შეტევაზე გადმოსული მეცნიერების წინაშე პოზიციები რომ არ დათმოს, თორემ ერისელ სანგრძობან თუ ამოავდლო, მეგრ ძნელია ისევ ჩასანგრება! — შემდეგ თითქოს უცებ გაასვენდა, თქვა:

— სალსონ (მამას ძალიან უყვარს ეს სიტყვა), არ გაინტერესებო ჩვენი ბინის ნახვა? გუბინ ვასალები ჩამაბარეს!

— წაივდეთ, რა, მამიკო! — წამოიძახა ქეთიმ.

— კი ბატონო, თუ საზოგადოება თანხმია! — დედას ღმილით გახედა.

— ვისაუზნით და წაივდეთ! — გადაწყვიტა დედამ.

— თინ, მაშინ ვიჩქაროთ, თორემ დღეს ძალიან ბევრი სამუშაო მაქვს.

ავერიაშულდით, აუფაურდით, სასწრაფოდ ვისაუზნებთ და ნახვარი საათის შემდეგ ბნინიდან გაუვდით.

კარგანის სიარულის შემდეგ ქალაქი მარცხენა მოვიტოვეთ და სალაგაჭრილი ქუჩით აღმართს აუფაურდით. ქუჩის ორივე მხარეს კლდეებზე წამოშართულიყვანენ თოქესმეტსართულიანი იფისფერი და თეთრი კორპუსები. უცებ შევაძრინე, რომ დედამებს თანდათან დაუკარგა ლაპარაკის საღისი. რაც უფრო მაღლა მივიწვევდით, მისი განწყობა დაბლა ეშვებოდა. მამა მოსწრებელი სუბრობებითა და ანეკდოტებით ცდლობდა გაემსიარულებინა, მაგრამ ამოდ. დედაც წყალი ჩაიგუბა პირში. ამასობაში ქუჩაც დათვარდა, ტაფობზე ვავედით და ბოლო სახლს მივაღვეით. მამამ მის წინ გააჩერა მანქანა. ვესვდავ; ცხრასართულიანი, ქათქათა, ლაზანი სახლია. მამას გასაპირის შემსვდვარემ გადაწყვიტე, მივსველავოდი:

— რა კარგი სახლია, რა კარგი ადგილია! — წამოვიძახე პათეტიკურად და მანქანიდან გადმოვსტეხე.

დედამ ერთი გეზად შემომხედა და მამას მიუბრუნდა:

— ყველაფერი კარგი, ლევან, მაგრამ ამ უკაცრიელი ადგილიდან როგორ ვიაროთ, ან ბავშვები სკოლაში სად გატაროთ?!

— რას ამბობ, თინა! — წამოიძახა მამამ, — სკოლა ა, ავერ. მოსახვევში რომ შენდებდა, ისაა. სექტემბრისათვის უკვე მზად იქნება! — და აქაური მომავლის ისეთი ცოცხალი სურათი დავგისატა, რომ კაცი იფიქრებდა, ამ უბნის განაშენიანების ასი თუ არა, ორმოცდაათი წლის გვეგმა მაინც იყოლა შეპირად. ამ დღეებში ინფორმაციამ დედაჩემზე მაინცდამაინც ვერ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება. მისი სახის გამომეტყველება არ შეცვლილა. ჩემთვის გასაკები იყო დედაჩემის ასეთ გუნებაზე დადგომის მიზეზი. ვერაზე დაბადებული და ვარსდელი, გათხოვების მერეც კალანდაძის ქუჩას არ გასცილებია საცხოვრებლად და, ბუნებრივია, იმ უბნის მიტოვება და ისეთ მიყრუებულ ადგილზე ამოსვლა, როგორც მაშინ ჩვენი უბანი იყო, გაუჭირდებოდა. რაღა დავიმალოთ და, დედაჩემს თავისი „ვერვლობით“ თავი მოაქვს სოლმე. როცა სიტყვა ჩამოვარდება, იტყვის ხოლმე: ვერაზე

ყველანი და-ძმებივით ვიზრდებოდით და ვიყავით. კარგი დედისშვილი იყო და ვინმეს ჩვენი უბნის გაფორმებისათვის სმა უბატონოდ გაუტე, ჩვენი ბიჭები თავიდან აწვევლინდნენო. ძველ უბანზე მცხ ძალიან მწუფდითა და ვულოლი, მაგრამ ვიცოდი, უკვე ყველაფერი გაბანწყვტილი იყო, ამიტომ მეღეს შერეგებული ვიყავი.

— ნახეთ, რა სიერცხვა, რა პაერია! — იძახდა აღბაცებული მამა და ფანჯრებს ერთმანეთის მიყოლებით აღბედა.

მართლაც, შესანიშნავი ოთახები იყო — მაღალი, ნათელი, განიერი ფანჯრებით. ფანჯრები სახლის თვალეზბია, ლამაზი ფანჯრები ისე ამშვენებს სახლს, როგორც ადამიანს კარგი თვალებით, ამბობს მამა. რაც მოთავარია, ეიწროდ აღარ ვიქნებოდით. სართლაც კარგი შევსებდა — მესამე.

ერთი სიტყვით, ოთხ იენის ასალ ბინაში გადავედით. მამა მართალი გამოდგა: გასაოცრად მალე აშენდა ჩვენი კვარტალი. სახლები ისე ამოიზიდნენ მიწიდან, როგორც ნაწილობრივ სოკოები. ერთდროულად ექვსი-შვიდი სახლი შენდებოდა. ღმილით მოდიოდნენ უძლიერესი საწვევარები, „კრახები“, „კამახები“. მოქმედით ოთახების ფანჯრებჩანსმული მთლიანი კედლები განუწყვეტილ მუშაობდნენ გირაფივით გრძელკისერა, აურული ამწეები, უზარმაზარი ჩამჩებით მიწის გულში იბურჯუნებოდნენ ექსპლავატორები, აამუღლებით ბულოდნენ ბულოდნეები. სულ მალე ჩვენი სახლი კვარტლის დასაწყისში აღმოჩნდა.

პირველ სექტემბერს მზად შეხვდა ჩვენი სკოლაც. ბუნებრივია, სექტემბერი, რადგან ასალი სკოლა ისეთია, როგორიც უცხო პლანეტა, რომელზეც შენ პირველად ადგამ ფეხს და არ იცნობ მის ბინადართ. არ იცი, ისინი შენი ძტვები იქნებიან თუ შენი მეგობრები. არ იცი, რა შენის, რა ჯურის სახლი შეგვხვდება ამ მიწაზე. არ იცი, როგორი კანონებია აქ და განსაკუთრებით რას უნდა ერიდო. მასსოც, ამდენი უცხო ბავშვების შემხვდვარ, როგორ ამეიპარე შიშმა. ისე ვვლავდი, რომ არ შემძლო გამეჩრია, დამემასსოვებინა თუნდაც ერთი რომელიმე სახე. მე არც ცდილობდი შემეხედა მათთვის.

ბაზარძიანა შიშობი ნომირი





ნანა ფაქვანიშვილი

ფოტო

ლავით იაოთაოვილია

რამდენიმე ათეული წლის წინათ სპორტის სახეობებიდან თითქმის არც ერთი არ იყო საპარაშუტო სპორტზე უფრო პოპულარული. ახალგაზრდობა გატაცებული იყო ყველაფრით, რაც ავიაციასთან იყო დაკავშირებული: ავიამოდელიზმით, პლანერაზმით, მაგრამ განსაკუთრებულად მაინც პარაშუტით ხტომა იზიდავდა. ქალაქების ბაღებში და სტადიონებზე მოწყობილი იყო

კომპეტი, საიდანაც პარაშუტით ხტებოდნენ მამაკაცები და ქალებიც კი, ახალგაზრდები და არცთუ მთლად ახალგაზრდებიც. იქმნებოდა ახალ-ახალი აეროკლუბები, იზრდებოდა ამ კლუბების წევრთა რიცხვი.

ეს იმ წლებში იყო... ახლა კი...

— ახლა, — ამბობს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თბილისის აეროკლუბის მფრინავ-ინსტრუქტორი **თემურ ჩხარტიშვილი**. — ინტერესი სპორტის ამ სახეობისადმი საგრძ-


ნობლად შესუსტდა. ამის უპირატესობა მიზეზად ის მიმაჩნია, რაიმე რისკი ბავშვებს არ უწინეწებთ სპორტის ხტომებს, შეჯიბრებებს, სახეობებს. არ ვაძლევთ დატკბენ ლაქვარდოვან ცაში გამწვან ნაირფერი პარაშუტების სილამაზით, პარაშუტისტების ოსტატობით, სიმაჩვივითა და მოქნილობით.

მოზარდებმა ფეხბურთის, კალათბურთის, ცურვის ისტორია გაცილებით უკეთ იციან, ვიდრე, ვთქვათ, პარაშუტისა. არა და, მის ისტორიას შორეულ წარსულში მივყავართ და იგი არანაკლებ საინტერესოა.

საუკუნეთა მანძილზე, საფრენი აპარატების შექმნასთან ერთად, გამოგონებები ფიქრობდნენ მიწაზე ადამიანის უსაფრთხო დაშვებაზეც, საიმედოდ და სრულყოფილი პარაშუტის შექმნაზეც.

როგორც სპორტის სახეობა, პარაშუტიზმი ომისშემდგომ პერიოდში განვითარდა. მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი 1951 წელს ჩატარდა. სამეოთხეა სპორტსმენებმა მრავალჯერ ასახველს სამშობლო თავიანთი ბრწყინვალე მიღწევებით.

საპარაშუტო მრავალცილში შედის 100 მეტრზე ცურვა, სროლა მცირეკალიბრიანი შაშხანით, კროსი და ხტომები ზუსტი დაშვებით. ბოლო წლებში განვითარდა და პოპულარობა მოიპოვა ახალმა სახეობამ — საპარო აკრობატიკამ.




პარაშუტი ფიზიკურად კარგად უნდა იყოს მომზადებული. უნდა ჰქონდეს ძლიერი ნებისყოფა და მშვიდი ნერვები. მთავარია შიშის დაძლევა.

მოუსმინეთ რეზო გელვძიძეს, თბილისის 106-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეს:

— ორთვიანი თეორიული მომზადების შემდეგ აეროდრომზე გავემგზავრეთ. ველვადი, კიდეც შეტად ავდელდი, როცა თვითმფრინავი ცაში აიჭრა. რომ ვაღმოვბტი, დედამიწა თითქოს ბურუსში იყო ვახვეული. მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქე შევებით, როცა პარაშუტი გაიხსნა. ახლა უფრო მშვიდად მიმოვაველ თვალი მიწას, სივრცეს, და უცნაური გრძნობა დამეუფლა — სიამაყისა და სიმსუბუქის... ნუთუ ეს მე ვარ, 900 მეტრის სიმაღლეზე რომ დავფრინავ ცაში? არასოდეს დამაიწყებდა ეს წუთები!... უკვე 4 ნახტომი შევასრულე, ჩემს ვაკატებს არ ვუღალატებ და ბოლომდე მიყვები, თუ სერიოზული დაბრკოლება არ შეგხვდა.

— არასრულწლოვანი მოზარდები საპარაშუტო სპორტში რომ ვევაჩივით, მშობლების თანხმობაა საჭირო. ისინი კი ხშირად უარზე არიან. ამის გამო იძულებული ვხდებით, ბავშვები სექციიდან დავითხოვოთ. მშობლების შიში უსაფუძვლოა, რადგან სწორად დაკეცილი პარაშუტი არასოდეს არ და-



ლატობს და სავსებით უსაფრთხოა. რატომ ჰგონიათ მათ, რომ ალბინიზმი, რეგები, კრივი და სპორტის სხვა სახეობები ნაკლებად „სახიფათოა“? მინდა ვუჩიო მშობლებს, მისცენ თავიანთ შვილებს სპორტის იმ სახეობაში მეცადინეობის უფლება, რომელიც მათ იტაცებთ და მოსწონთ. ამით თვითონაც კმაყოფილნი იქნებიან და ქვეყანაც მოიგებს.

ბოლო წლებში ჩვენმა საპარაშუტო სპორტმა დაკარგა მოწინავე პოზიციები და ამჟამად სავსეა მშობლების შტაბითაც ჩვენი მოწინავე სპორტის ოლ მოკრძალებულია. ფაქტურად, არ ტარდება საქართველოს ჩემპიონატი, კონტინენტის სიმციარს გამო არ ხერხდება პერსპექტიულ სპორტსმენთა შერჩევა. არადა, წარსულში ბევრი სახელგანთქმული სპორტსმენი გვყავდა. ჩვენი ალბრადილი ნიკოლოზ უშმავეი მსოფლიოს 52-გზის რეკორდსმენი და მსოფლიოს ორგზის აბსოლუტური ჩემპიონი იყო, ალექსანდრე ვოიტიუცი — საკაეშირო ჩემპიონატების არაერთგზის პრიზიორი, ჩვენი აეროკლუბის რგოლის ხელმძღვანელი ექტორ ბონდარენკო ხუთგზის მსოფლიო რეკორდსმენია.

იოსებ არჩენიშვილი, 115-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე: — მართალია, აეროდრომი ბოლნისშია და დილის 6 საათზე გვიწევს მატარებლით გამგზავრება, ადგომა მაინც არ მგზარება, პირიქით, ერთი სული მაქვს, როდის ავფრინდებით ცაში...

ვალინა კოზირი, 103-ე საშ. სკოლის VIII კლ. მოსწავლე: აქ როგორ მოვხვდი? ბევრი ფილმი ვნახე საპარაშუტო სპორტზე, ყოველთვის მესწონდა სიმაღლის. ჰოდა, ვადაწყვეტიე საკუთარი თავი გამომეცადა. მინდოდა მენახა, დავძლედი შიშს თუ არა. ჩავწერე სექცია-



ში. თეორიული მომზადების შემდეგ მივიღე ჩათვლა. დადა ნანატრი და საშოში წუთი. ნახტომი კარგი გამოიძვიდა, მშვიდად და ზუსტად. დავეშვი. გამოაცა მიწისა და ბუნების სილამაზემ. ძნელა ამის წარმოდგენა, თუ ეს ყველაფერი თავად არ განიცადე.

ლარისა ლეენკო, 75-ე პრაფტენიკური სასწავლებლის პოსტაველუ: — ერთხელ ვიჩქარე და ფეხები პარაშუტში გამებლანდა. შემეშინდა, მაგრამ შერე დავეშვიდი და ფეხის გათავისუფლება დავიწყე. ამასობაში ფეხსაცმელი გამძვრა... პარაშუტი მალე გაიხსნა და წელნულა დავეშვი. ნახტომი ზუსტზე ზუსტი გამოვიდა. მწვრთნელი ხუმრობდა, ფეხსაცმელი ხშირად უნდა დაეკარგო. უკვე 24 ნახტომი მაქვს შესრულებული.

— სამი ხტომის შემდეგ, — განაგრძობს საუბარს თემურ ჩხარტიშვილი — მოსწავლეებს მესამე თანრიგი ენიჭებათ და ვიწყებთ პერსპექტიული სპორტსმენების შერჩევას. თეორიული კურსის გავლის შემდეგ ვარჩევთ და ვამზადებთ ნაკრების წევრებს.

ჩვენს კურსდამთავრებულებს უმაღლეს საავიაციო სასწავლებლებში შესვლისა და მატებითი შედგენითი უძღვევათ.

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თბილისის აეროკლუბი იწვევს 15-დან 23 წლამდე ასაკის აკაეზასა და გოგონებს საპარაშუტო სპორტის სექციისაში სამეცადინოდ. გულად და სულით ძლიერ ყმაწვილებს აქ საინტერესო და სასიამოვნო ვარჯიშები ელით.

...ოქნე სწორედ ამ მართებებმა დაუბრუნონ ჩვენს საპარაშუტო სპორტს წარსული დიდება და სახელი, რადგან დაუოკებელია ახალგაზრდობის სწრაფვა სიმაღლისკენ, ციციენ!..

ნ რ ე ა რ შ ა მ ა ნ ა ქ მ

რატომ მიყვარს?

რომ გაუველი ლომთავორას, ვინახულებ სამგორს, დიდგორს, რად ვიყვარო საქართველო, ნეტავ ერთი ვინმე მკითხოს!

როგორ მიყვარს, ამის ახსნა საჭიროა განა მართლად? საქართველო დედა არის, სიციცლის გზა გაშინათა.

სტუმარი პოლონინი

ოდა-სახლი ავაშენე, გადავდექი აივანზე, სტუმარი რომ გამოჩნდება, გადავძახებ აი, ასე:

— ვინც მოვიდა გაუმარჯოს! რა სახია, ძმოდ, გელი, ვაისარა ჩემმა კერამ, ამიბაღდა სახლის ჭერი.

ქანას სიძლარი

ველო, ველზე გადაბელო, ციურ ცვარით დანამულო, უნდა გზარო, უნდა გოთხრო,

აგაყავო, გამამულო, მოსავალით გავიხარო, გული გავისალამურო.

ნებაში კარგის დედანა

დედა ნაძრასი შვილისა სალში სირცხილით ვერ გადის.

ნეტავი კარგის დედანა, ვინდა ასხია ყელამდის!

საყოფალოს მოხატვა

უესო მხარეს ვიყავ სტუმრად, სინარული არ მეღირსა, გულზე მაწა მძიმე ლოდად დარდი იმერ-აშურისა.

რა დროს შენი დანიადო, — გაღიმებით მეტყევი, ვიცი. რა უყუო, რომ პატარა ვარ, მეც მოვეცი მამულს ფიცი.

რას ინატრებ?

— რომ იპოვო ნატვრისთვალი, რას ინატრებ, ანტონ? — ფრთებს ვინატრებ, მსურს ავფრინდე, გავცდე ზეცის ტანტონს.

კოსმოსშიაც ვინავარდო, უშიშრად და მარდად, რომ ჩამთვალონ საქართველოს პირველ კოსმონავტად.

პ ლ ე ქ ს ა ნ დ რ ა დ ი ლ ე ბ ა შ ე ი ლ ი

ზრომის გიერი

დაზვასთან იდეა თუ ვენახს სხლავდა, ფოლადს ადნობდა. თუ მინდორს წნავდა, ჩაის კრფდა თუ აგებდა სახლებს, —

შრომით ამკობდა სამშობლოს სახელს! სიკეთის მუქი უნათებს სახეს და წრფელ ღიმილში

გულისთქმას ამხელს: სულ ელაყვარდოს მომავლის ზეცას, სულ ეკასეპოსს მშვიდობის მზესა!

ჯეჯილი

ვაშთ მარცვლებს მიწის ალერსი და ვედარ გასღეს უკუნ ღამეში. ამოიწვერა მრავალი ღივი,

მიაპურეს მზერა მნათობის ღიმილს... მრავალი ღივი, ანუ ჯეჯილი — სხული, მზის სხივით

თმაჩეჩილი. ჯეჯილი, ანდა ბავშვობა პურის, მწვანედ ხსახახა ზღვა სინარული.



საღმის, მანია!

3. ტატარომა

ჩვენთან საზღვარს არის უბრა-
ნის ალკა ცა-ნისა და ზ. ი. ლა-
ნინის სახელმწიფოს პიონერთა ორ-
განიზაციის რეკონსტრუქციის სა-
ზღვო საბავშვო თარხალი

ПИОНЕРИЯ

მ გ ო ზ ლ ი უ რ ი ს ა ნ ა ხ ე ზ ი

რომ იცოდეთ შენი ქვეყნის
სიღამაზის ყაღრი,
შენი ცის და შენი მიწის
ჭეშმარიტი მადლი, —

მოიარე კიდით კიდევ
მამულის მთა, ბარი,
გაიარჯე ტრამალები
აღმურთი და ქარი;

ყური უდევ ოქროსფერად
მოკურდღლავე ყანას,
ფიჭვნარების, ვერხვნარების
უუნაზეს ნანას,

ზღვის ტალღათა გამუდმებულ
გუგუნსა და დუღუნს,
იდე და დამე ტურბინების
მტრედისებურ ლულუნს...

და შესასხვ გულის თრთოლივით:
— პე, მაღალი მწვო,
სულ უნათე ჩემს მიწა-წყალს,
მას ვენაცვალეო!

ქალღიმი ღურჯი



ბავშვები ხშირად გვეკითხებიან.
როგორ გავხალთო ჩვენი პიონერუ-
ლი რაზმი უფრო მეგობრული, ხო-
ლო მისი ცხოვრება — უფრო საინ-
ტერესოო. რა თქმა უნდა, ცხოვ-
რების ყველა შემთხვევისთვის გა-
მოსადეგი რეცეპტი ჯერ არავის
მოუგონია, მაგრამ, ვფიქრობ, ერთ-
ში არავინ შემომიდაეება: თუ რაზ-
მში ცხოვრება დღეს ყველას გასა-
ხარად და სასიამოვნოდ ეს, უბირ-
ველეს ყოვლისა, გოგონებისა და
ბიჭუნების დამსახურება იქნება.
ვიცდილობ, ვიპოვნო ასეთი რაზმე-
ბი, ამოვიცნო მათი არასტანდარ-
ტულობის საიდუმლო.

ასე გაიცანინ კიევის 84-ე საშუა-
ლო სკოლის VI კლასი. მათთან პი-
რველივე შეხვედრისას შეგამჩნიე
— ბავშვები ბევრ ტრადიციულ პი-
ონერულ დავალებას არასტანდარ-
ტულად ეკიდებიან: მათ დიდი ხა-
ნია დაეიწყინათ, რომ აქტივის
გვერდით რაზმში პასივიც არსე-
ბობს, რომ კოლექტივში შეიძლე-
ბა მოწყენა, რომ არის უინტერე-
სო პიონერული დავალებებიც.

■ ს ე ■
— რატომ აქვს ამ ხეს
ტოტი ამდენი?
ვეღარ დავთვალე,
თვალე რამდენიც.

— რათა ნამოსხდნენ
ჩიტები მათზე
და იგალოზონ
ათასგვარ სხაზე,
მეზღერს მოურჩილოს
თაკარა მწვში,
სოლო ავდარში
ამოროს თქეში.

— რად არის ასე
მაღალი ტანის?
კენწერის თვლი
ვერ მისწვდეს ღამის.
— იმად, რომ ლურჯმა
ფოთლებმა ცაში
ღრუბულთა როკვას
დაუკარნ ტაში,
ვარსკვლავთა ჩურჩულს
უნსინოს მარტომ,
პირველმა მისცეს
სალამი მნათობს.

— ფესვები ღრმად რომ
გაუდავას, — რისთვის?
— მუდამ ურყევად
რომ იდგეს, მოითვის;
იცის: ძალუმად
იმიტომ სუნთქავს, —
ფესვები მშობელ
მიწაში უდავს.

ანაბოლი ქოსკაქი

თარგმანა
ს. ზაფარიანა



...ოღელაღ კიევიმ თურმე თე-
მურელთა ცენტრალური რაზმი არ-
სებობდა. მრისხანე დრო იცე: გრუ-
ზუნებდნენ ქვემეხები, სახელობდა
ჭურვები, ფაშისტური ჯარები სულ
უფრო და უფრო წინ მოიწყედნენ,
საბჭოთა ქვეყნის გულისაგენ. წი-
თელ არმიასი წავიდნენ მამები და
უფროსი ძმები. მათ კი, კიეველ
ბიჭუნებსა და გოგონებს, სახლში
გულწრფელადკრეფილი ჯღომა არაფ-
რით არ შეეძლოთ. ისინი შეკრიბა
მარია თეფილეს ასულმა ბოიარს-



კაიამ, ნორჩების საყვარელი საბავშვო კინოთეატრის — „სმენას“ დირექტორმა, შეკრიბა სწორედ კიევის შუაგულში, კრეშჩატიკზე, 36 ნომერში. იმ ბავშვები უცებ იქცნენ ძლიერებად, მამაცებად და ყველფრის მცოდნეებად, ისინი ეხმარებოდნენ მოხუცებსა და ავადმყოფებს, ოკუპირებული რაიონებიდან ჩამოსულ ლტოლვილებსა და დაჭრილ წითელარმიელებს. თემურელთა სამკერვალო სახელოსნოებში კერავდნენ თეთრეულს ჰოსპიტლებისათვის, თემურელთა საბავშვო ბაღში უვლიდნენ სულ პატარებს, ღვივრისანტა დაქმენაში ეხმარებოდნენ გამანადგურებელ ბატალიონს, აშხალებდნენ ფრონტზე გასავაზენ საჩუქრებს, ასრულებდნენ მეთურებისა და ჯარისკაცების დავალებებს.

ძალიან უყვარდათ თემურელებს თავიანთი პიონერხელმძღვანელი — ამაყი და მამაცი მარია. სწორედ მარია ამხნევებდა თითოეულს, როცა იმედს დაკარგავდნენ და მხრებს ჩამოყრიდნენ ხოლმე, სწორედ მარია ეღვათ მხარში, როცა შიშისა და სასოწარკვეთილებისაგან გული ეწურებოდათ. მარიას სჯერდა მათ,

ენდობდა მათ, იმიტომ, რომ ბიჭუნებისა და გოგონების პერანგებზე ცეცხლისფრად იწვოდა წითელარმიული ვარსკვლავები, ხოლო მათ მკერდქვეშ მხურვალე პიონერული გული სცემდა.

როგორღაც შეიტყუეს ბავშვებმა — თურმე მხოლოდ დღისით რადი მუშაობდა მათი პიონერხელმძღვანელი. დამდამობით გალინა ნეჩიორეკოსთან ერთად თურმე გოლოსიევის ტყეში დადიოდა ბრძოლის ველიდან დაჭრილთა გამოსაყვანად. თვალები აენოთ ბიჭებს — წინა ხაზზე ყოფნა ითხოვეს, მაგრამ მარია თეოფილეს ასულმა მათ არაკადი გაიღარის სიტყვები შეასენა, — რაკი მამები და ძმები ფრონტზე არიან, ყველაზე საჭირონი სწორედ ზურგში ხართო... ქალები ხომ მარტონი ვერაფერს თავს ვერ გაართმევდნენ.

კიევის ცაზე კიდევ უფრო მრისხანე ღრუბლები მოგროვდა. მალე მტერი კიევიც შემოიჭრა. თემურელებს კი გული არ შეკრთომათ, თავიანთი კეთილი საქმეები მათ ახლა უკვე საიდუმლოდ განაგრძეს.

შემოდგომის ერთ პირქუშ ღამეს გესტაპოელებმა დააპატიმრეს მათ,

რია ბოიარსკაია; სიკვდილით დასჯის წინ იგი, ამაყი და ქედუხრელი, კრეშჩატიკზე ჩაატარეს. ქალს მკერდზე დაფა ჰქონდა მიკრული, წარწერით: „თემურელთა რაზმის მეთაური“.

თემურელებმა დაიფიცეს, შური ეძიათ თავიანთი პიონერხელმძღვანელისთვის — ზოგნი პარტზანებად და წითელარმიელებად წავიდნენ, ქალაქში დარჩენილებმა კი თემურელთა საქმეები განაგრძეს.

1945 წელს დამხობილი რაისსტაგის ნანგრევებზე თავიანთი ხელმოწერა დატოვეს ბერლინამდე ბრძოლით მისულმა ყოფილმა კიეველმა თემურელებმა, განა მარტო თავიანთი დაღუპული ამხანაგების, მარია ბოიარსკაიასა და არკადი ვაიღარის სახელობაც.

აი, როგორია ამაგი მოვისმინე პიონერულ რაზმში, რომელიც, ავერ უკვე მესამე წელია, მარია ბოიარსკაიას სახელს ატარებს და წითელკვანამაიებლურ მუშაობას თავისი ღირსების უპირველეს საქმედ თვლის.

მათი საქმიანობა ორმოცდახუთი წლის წინადადელი მოვლენების, სახელებისა და თარიღების უბრალო აღდგენა როდია. ამ მოვლენათა ბევრი მოწმე და მონაწილე ხომ უკვე აღარაა ცოცხალთა შორის. ბავშვებს აჩივებსა და სავაზეთო ფონდებში მუშაობა მოუხდათ.

ბევრი რამ ნახეს საინტერესო 1941 წლის პარტიულ, კომკავშირულ თუ პიონერულ პრესაში.

მარია თეფილეს ასულის ბიოგრაფია

როსთომილი იმამყალბასალი პირენა-რანი მახარა კოსთინაძე ო. შაპა-როვის საზოგადოება

ი. ლეიას ვოიო





მიწაში ჩარჭობილი ჯოხებით კარბე მოინიშნეს.

— პირველ ტიამს სადილამდე ვთამაშობთ, მეორეს — სადილის შემდეგ, — ახსენებს მიშკა შეხვედრის პირობებს „გამარჯვების“ კაპიტანს.

— მსაჯიცა გვეყავს, — უჩვენებს იგი კარტუზიდან გირჩნებივით ღიღროსურებდადმოყრილ ბეჭე.

— ეგ ყურპანტურა და ჩანჩურა? ეგეთი მსაჯები რო არ არსებობენ?! — აღშფოთდა დენისკა. — აბა, მაგას საიდან ეცოდინება წესები?!

— ბურთის ხელში ალგაბა არ იყოს! არც ფეხის დადგება მოდის — სულ ეგ არის შენი წესები, — წყენით ამბობს მომავალი მსაჯი.

მერე თითებს პირში იღებს და უსტკუნს, საღლიც ტყეყე, ხეებს შორის აფართხალდა სტენის ეკო.

— იმსაჯოს, ოღონდ თავისებს ნუ მიემხრობა, — ყაბულდება მიშკა, — თორემ მოედნიდან გაგადგებთ.

თამაში დაიწყო. ბურთი მაღალ ბალახში იკარგება. ბიჭები ერთმანეთს ეჯახებიან, ხელს იკვრევენ, ხელებს იღვრებიან, სუნთქვა უჭირთ, ვარდებიან. „გამარჯვების“ კაპიტანმა ხელით დაიჭირა მიშკა. მსაჯი ღუმს, ისეთი იერი აქვს, თითქოს თერათმეტრს ამჩნევდეს.

— თერათმეტრებიანი! თერათმეტრებიანი! — ყვირის დენისკა.

მაგრამ მსაჯი ისევ ღუმს.

— მსაჯიცა გასადგება! — ეერ ისევებს დენისკა, მაგრამ საქვებს ვერც ეს შეეღოს. მაშინ ის ბურთს ხელში იღებს და მოედნიდან გარბის, კატასავით მარადელ ძვრება მაღალი ფეხვის კენწეროზე.

! — ბურთი მოიტა! — ქმევიდან უყვირის ბიჭები.

— არ მოგცემთ! მსაჯი მოაშორეთ!

— მოიტა, თორემ აღარ გეთამაშებთ!

— არც გვიდა! უთქვენლოც კარგად ვითამაშებთ.

— დენის, ჩამოდი, არ გვიდა მაგათი თერათმეტრებიანი. ვაჩუქოთ სამოწყალოდ, — ამბობს მიშკა.

— კი, როგორ არა, საწყალები,

შეხვედრის პირობები

ეპარება თავის სიტყვებში მიშკას.

— იქნებ ეშინიათ? — თავის ვერსიას სთავაზობს ტოლებს რომელიღაც.

— იქნებ ეშინიათ კიდეცა, — ეთანხმება მიშკა.

მაგრამ შორს უკვე გამოჩნდა სოფლის ნახირი, უკან კი — მენახირეების შავი მოძრავი წერტილები. ესენი იყვნენ მათი მეტოქეები, ბიჭები მეზობელი ქუჩიდან. იმათ თავიანთ გუნდს „გამარჯვება“ დაარქვეს.

— მაშ ახე, მატჩი ნებისმიერ ამინდში შედგება, — მიშკა რადიოკომენტატორის ხმას ბაძავს და მკაცრ მზერას ავლებს თავის ლაშქარს: საზაფხულოდ ბებიასთან ქალაქიდან ჩამოსული წყნარი, გოგოსავით მორცხვი მარიან სტორჩაკი; ჩხუბისთავი გრიშკა შოსტაკი; მსლ-

ქანი, ფეხბურთის ბურთივით მრგვალი ტოლია შეეკა და დენისკა სკრიპინიკა, რომელსაც ლაპარაკში ვერაფერ დაჯახნის. სწორედ ამისთვის შეარქვეს „რებროდუქტორი“.

მეტოქეებმა უკვე მოედნეს ტყესთან ნახირი და ახლა „თოლიას“ ათვალიერებენ გულდასმით.

— დაიწყეთ? — ჰკითხა იმათ კაპიტანს მიშკამ და დიდი კაცოვით გადააწიტა.

— დაიწყეთ. მაგრამ, იცოდეთ, წააგებთ, ლაყეები ხართ, — თავდაჯერებულად პასუხობს იგი და თავისებს თვალს უჯრავს.

— ოჰო! ლაყეებიო?! მე ვიცი თქვენი! — ჩაეჩხირა დენისკა.

— ლაყებთანვე ძალას ნუ ხარჯავ — აჩუქებს მის მიშკა.

— დღეს გავეციკრდება, შეხედე, ექვსნი არიან.

კარგი ეშმაკები არიან. ყველაფერი უნდა, არა?..

— მოიტა ბურთი, თერთმეტმეტრიანიანი ვარშეტ მოვეუბთ, — ბრაზობს ღენისკაზე მიშკა. — მოიტა, გიბრძანებ, როგორც კაპიტანი!

— თუ ეს კაპიტნის ბრძანებაა... — ღენისკამ აღარ იცის, რა თქვას, და ხიდან ჩამოდის.

მსახს მთუახლოვდა, ერთი მრისხანედ შეხება.

— ნეტავ, ხომ არ მიმეფევე?

— ღენის, არასპორტულად იქცევი, — მკაცრად შენიშნავს მიშკა.

— თვითონ კი სპორტულად იქცევა?

— შენ მაგას რას უყურებ! მე არასდროს არ იქნება სპორტსმენი, ეშმაკობა უყვარს და იმიტომ.

მატიჩი გრძელდება. „გამარჯებვას“ გოლი გააქვს. დაბნეული ტოლია შეგაკა ვარში ღდას და ხელების შლის.

— დოკლაია! — უყვარსის სასოწარკვეთილი ღენისკა. — შენ ბურთს კი არა, კიბორჩხალებს უნდა იჭერდე. კაცს ეგობება, ხელების მაგიერ პრითეუბი აქვსო!

— პანია არ იყოს, — ამწვილებს ბიჭებს მიშკა. — მე მამაწოდეთ ხოლმე ბურთი. დიდხანს ნუ ატარებთ, მთელი გუნდით უნდა ვითამაშოთ.

მართლაც რომ, ნამდვილი კაპიტანია მიშკა, არც თვითონ ღელდება და მეგობრებსაც ამწვილებს.

თამაში გრძელდება. ბურთი ხან ერთ კარში აღმოჩნდება, ხან მეორეში. ბიჭები ფეხზე ძოვებს ღდან. მზე კარგა მალა ასულა, ხეთა ჩრდილები დამოკლებულია.

ბურთი სადღაც ღრმად შევარდა ტყეში და სწორედ მაშინ გაახსენდა მიშკას:

— ძროხებსაც მივხედოთ ერთი, სადა არიან.

მოწინააღმდეგეებმა მიიხედ-მოიხედეს.

ძროხები არსად ჩანდნენ.

— რა იქნენ? — დაბნევით კითხულობს რომელიღაც.

— იქნებ ტყეში შევიდნენ?

ტყეშიც ეძებენ, მაგრამ ვერ პოულობენ. შეფიქრებულნი უყურებენ ერთმანეთს, ვერავის ამოუხსნია ძროხების გაქრობის საიდუმლო.

— იქნება ყანაში გადავიდნენ და მეველემ გაიჩევა? — ვარაუდობს ღენისკა და ბიჭებმა მამნივე წარმოიდგინეს, რა მოელოთ ასეთ შემთხვევაში, შინ რომ მივლენ, რა რისხვა დაატყვევებთ თავს.

დამფრთხალი ბელურების გუნდით აიშალნენ და სოფლისკენ გაფრინდნენ. დალილობაც გადავიწყდათ და დამტყვეულ-დაღურჯებული კოჭებიც.

მიშკა თავის ეზოში შედის და მოულოდნელად ბოსლიდან ნაცნობი ხმა მოესმის. ასეთი ხმით რძე წკრიალებს ხოლმე საწველელში, როცა ღდა ძროხას წველის.

ბიჭი ბოსელში იჭყიტება.

— სადა ხარ დაკარგული? — ბრაზობს ღდა. — შენც თუ მენახიბე ხარ! მე მგონი, შენ თვითონვე გჭირდება ერთი კარგი მენახიბე. დაბნეული მიშკა ხმას არ იღებს. შინით ფიქრობს, ვითუ ღდამ ბურთი და მაისური წამართვასო.

— ისევ ფეხბურთს გადაკვევით, არა, და ძროხები აღარც ვაგხსენებიათ?! კარგს არაფერს გადაკვრით ეგ თქვენი ფეხბურთი. ავიღებ სულს და... ნახავ, რომ მაგ შენი სათამაშოს გარეშე დარჩები!

თავგაქანდრული მიშკა ცხვირს აქსტუნებს.

— რა ხმა ჩავიგებდა? რა ღმერთი გიწყურება?

რა უნდა თქვას, რა ეთქმის? რას იფიქრებდა, რომ ძროხა თვითონვე მოვიღოდა შინ?

— იცოდე, ეს უკანასკნელი იყო, — ხმა დაუბრბოდა ღდას. და ის იყო, რძით საესე საწველელის სახელში შეტანა დააპირა, რომ ჭიშკარში მარინა ღვიდაც გამოჩნდა, ღენისკას ღდა.

— კატერინა, რა არი, რომ ყველა გადარია შენმა ბიჭმა ამ თავისი ფეხბურთით?! ბურთის გარდა კარგად არაფერი ახსოვდა მკვეყანაზე!

მიშკას ღდამ საწველელი სკამზე დადგა და ჭრელი წინსაფრით ხელები შეიმძრალა.

— ეგრე კია, ჩემო მარინა, მაგრამ თამაშიც რომ უნდათ? ითამაშონ, ვინ დაუშლის, ოღონდ თავს ნუ დაკარგვენ და...

— მეც მაგას არ ვამბობ? არც მე ვარ წინააღმდეგი... მაგრამ ძროხები რომ გადავიწყდათ? ჩემსას მშვიტი ხბო ელოდებოდა, კიდევ კარგი, თვითონვე მოვიდა.

— მიზელი, იცოდე, ეს უკანასკნელი იყო! — იმეორებს ღდა და მკაცრად უყურებს.

მიშკა წაღოეგებით შესცქერის ღდას.

— გმადლობ, ღდა, რომ მაპატიე. მართლა აღარ ვიხად მეტს.

...ღამე კი მიშკამ სიზმარი ნახა: თითქმის მათ სოფელში „თოლიას-თიან“ შესახვედრად სახელგანთქმული ბრაზოლეილა გუნდი ჩამოვიდა. მიშკას თავისი ბიჭები გამოკყავს მოედანზე. თამაშზე ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა. ზოგი ხეებზეც კი ამძვარა. მიშკა ეშმაკური ფინტებით ატყუებს ყველა ბრაზოლეულს და გოლი გააქვს. ხალხი აღტაცებით ყვირის.

— ადექი, შევლი! ადექი! დროა, ძროხა გაღვიო, — ჩაესმა ანაზღად ღდას ხმა.

— რა, უკვე გათენდა? — თვალს იფშენებს მიშკა.

— გათენდა, მაშ! მე უკვე ძროხაც მოვეწყვეე.

მიშკა ხელ-პირის იბანს, საუხუმობს. მეგრე იცვამს თურქ მაისურს წარწერით „ლინამო“ და ჭეჩიდან ღენისკას სტენაეც მოესმის.

პონაბი თართაჲი წლიანი არიან

„ფულს სუნი არ ასდის“ — ასეთია „ლიდი ბიზნესის“ დევიზი. თუ საქმი მოგებაზე მიდგა, იგი ბავშვების ტანჯვასაც არაფრად მიიჩნევს.

— ვოგონას წყრილი, მოქნილი თითები აქვს და შესანიშნავად ართმევს თავს მაღალი სიჩქარის დატვირთვებზე მუშაობას. საერთოდ, ბავშვები უკეთ შრომობენ, ვიდრე უფროსებში, — ცინიკურად აცხადებს მისტერ სანდარი.

სადა და როდის იყო ეს? ასი, ორასი წლის წინათ? არა, დღეს. და არა სადმე მივარდნილ, დვითსა და კაცისაგან დავიწყებულ ადგილას, არამედ დიდ ბრიტანეთში, უესტ ბრომვიჩის რაიონში, რომელიც ლონდონის ცენტრიდან, პარლამენტის სასახლიდან სულ რამდენიმე ათეული მილით არის დაშორებული.

სანდარის კუთვნილია ფესცაქმლის ფაბრიკა უზადრუქ შენობაშია მოთავსებული. იატაკზე ყრია ტყავის ნაჭრები, ღვას წებოს მკვეთრი სუნის, დგანდაგრებენ დაზგები, რომელთა მიღმა არ ჩინან პატარა მონები.

აქ ვერ გაიგონებ მხიარულ სიცილს, თუმცა ყველაზე უმცროსი მუშაობელი 11 წლისაა. ყველაინ შრომაში არიან ჩაფულნი.

— მუშაობას დღის 7 საათზე ვიწყებთ და მხოლოდ მაშინ ვამთავრებთ, როცა საქმეს მორჩებით. ნარდ სამუშაოზე ვართ, — განაგრძობს სანდარი, ხოლო კითხვაზე, თუ რა გამოიმუშავენა აქიმ ბავშვებს, ორბოფულად პასუხობს: — ჯობის ფულად ყოფნით...

— ჯობის ფული ასეთი ჯაჭოხეთური მუშაობის გასამრჩელი? ეს წარმოუდგენელია! — აღშოფოთებით თქვენ. — კი მაგრამ, სკოლა?

— ბავშვების უმეტესობა აქ სკოლაში შეცადინების შემდეგ მოდის, ხოლო როცა წარმოების მესაქუთარე მოითხოვს, მაშინ გაკვეთი-

ლებს დროსაც, — გვიამბობს ადგილობრივი სკოლის დირექტორი ჯონ მაკდონოტი. — მათ სხვა გზა არა აქვთ, რადგან აუცილებლად უნდა მიიტანონ სახლში ფული, — განმარტავს იგი.

ქნებ სანდარის წარმოება გამოწვეულია სრულიადაც არა.

გაზეთ „სანდი ტიმისის“ მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ დიდი ბრიტანეთის ბევრ საწარმოში მუშაობენ 11-12 წლის ასაკის, ზოგჯერ კი უფრო პატარა ბავშვებიც. მარტო ლონდონში დჭირავებულ შრომას ეწევა 35 ათასი ბავშვი.

ინგლისში თვალში საცემია, ერთი შეხედვით, პარადოქსული მოვლენა. ერთი მხრივ, სამ მილიონზე მეტი უმუშევარი და მეორე მხრივ — მცირეწლოვანთა შრომა.

თუ უფროსებს არა აქვთ საშუალება გამოიყენონ თავიანთი ცოდნა და ძალა, მაშინ ბავშვებს ხომ, მით უმეტეს, არ უნდა ჰქონდეთ! მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ უმუშევრობამ სარეკორდო მაჩვენებელს მიიღწია, მეწარმეებს ეძლევათ შესაძლებლობა, ექსპლოატაცია გაუწიონ ბავშვთა შრომას.

ვინ იჩივლებს? 11 წლის კანდინის ეღება ხომ არა, იმ კანდინისა, რომელიც კვირაში 6-ჯერ, გაკვეთილების შემდეგ ორ-ორ საათს და კიდევ მთელ კვირადღეს მუშაობს.

— მე მთელ გამოიმუშაებულ თანხას დღეს ვაძლევ. სწორედ დღესამ მოშოვა ეს საშუალო, — სიამაყით ამბობს ბიჭუნა. აბა, როგორ არ უნდა იმავსოს, როცა ეს თითისტოლა ბაღლი მშობლებს ოჯახის რჩენაში ესმარება, ოჯახისა, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ქვეყანაში უკიდურეს სიღატაკში ცხოვრობს.

„პონაბი ბაზარი“

თურქეთის შავიზღვისპირა პროვინციაში — სამსუნში ყოველწლიურად მისის დამდგეს იმართება თავისებური „ბავშვების ბაზარი“,



— წერს თურქული გაზეთი „ქუმბურიეთი“. მეზობელი სოფლებიდან მოზობლებს ამ ბაზრობაზე ჩამოჰყავთ თავიანთი 11-15 წლის შვილები და აქირავენ მათ ერთი თვით ან მთელი სასოფლო-სამეურნეო სეზონით. დამჭირაველები, ჩვეულებრივ, სოფლის ბოძობები არიან. ბავშვების შრომის საფასურად ისინი წარმოუდგენლად ცოტად უღიან მშობლებს. ბავშვებს იყენებენ მწყემსებად ან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე.

13 წლის მეხმეთ ჩეკირის მამა ამბობს, რომ შვილის გაქირავებას მის უკიდურესი გაჭირვება აიძულებს. „ჩვენს სოფელში ყველა ასე იქცევა, რათა როგორმე შეიმუშაუქოს მძიმე მატერიალური მდგომარეობა“.

მიღობი ფერმის მეპატრონე ე. სანჯარი ამბობს, რომ ყოველწლიურად იმდენ ბავშვს ქირაობს, რამდენიც უჭირავთ, და რომ აქ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

მაგრამ რას ამბობენ თვითონ ბავშვები? „ჩვენ თავს ნამდვილ მონებად ვგრძნობთ. ჩვენი მშობლები ფულს მიიღებენ და ამ უცხო ხალხის ხელში გვტოვებენ. დღედღამ ვმუშაობთ. რაც უფრო მეტ ფულს იღებს მშობელი, მით უფრო მძიმეა ჩვენი შრომა. ზოგი ბავშვი ვერ უძლებს სასტიკ მოპყრობას და თავს გაქცევილ შვილს. ბევრი ჩვენგანი სამუშაოს გამო იძულებული ხდება მიატოვოს სკოლა. როგორ იქნება ჩვენი საქმე მომავალში, არ ვიცით“, — მწუხარებით ჩივიან თერამიტი წლის ბ. ეროლი და თთმეტი წლის უ. გიურჯუ.

თურქული გაზეთები ბავშვების გაქირავების ასეთ პრაქტიკას „თანამედროვე მონათა ბაზარს“ უწოდებენ.

სახ. საბ. რესპ. ბ. ბაღიოთაძე



შეხვედნა

საზანაძის მიხედვით

„ნეტა რა უნდა მომხდარიყო?“ — გაუელვა ივის, ილუმინატორის მოშორდა და პულტს მიაშურა. საგანგაშო სივანლის ხმას თავიდანვე ვერ იტანდა და ახლაც, მისი წივილი რომ ემშობდა, ტანში უსიამოდ აერიალებდა.

ციფერბლატს დახედა. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო.

— ტუმბოს ხრახნია მოშვებულნი! — მოესმა ამხანაგის ხმა.

იგი შევებით ამოისუნთვა.

გაახსენდა: ერთხელ, სატვირთობისას, თითქმის მთლიანად მოშლილი ტუმბოთი როგორ აწყვდებოდა აქეთ-იქით სივრცეში, ვიდრე დასაჯდომად ვარგის პლანეტას იპოვიდა. ახლა რა უჭირთ, ისეთ სექტორში არიან, ათიოდრე პლანეტა ხელის გაწყვდენის მანძილზეა, აირჩიე, სულს და გულს, რომელიც გინდა.

— უნდა დავფრინდეთ. ამხელა გზა მშვიდობით გამოვიარეთ, რისკის უფლება არა გვაქვს! — მოისმა იგივე ხმა.

— მეც მაგ აზრისა ვარ, ოლონდ შესაფერისი პლანეტა შევარჩიოთ.

— აგერ, იმ ვარსკვლავზე რას იტყვი, ეკრანზე ჩვენგან მარცხნივ რომ მოჩანს?

— ცხრაპლანეტაიანი სისტემაა, — სწრაფად დააბუსტა ივიმ. — პირველი ორი, ჩემი აზრით, არ გამოიღებება, უსიცოცხლო, გადახურებული ცდომილებია. არც ბოლო ოთხი ივარგებს, მთლიანად ყინულებითაა დაფარული. აი, მესამესა და მეოთხეს კი თითქოს არა უშავს რა.

— მესამე იყოს. თანაც, ნახე, როგორ ჰგავს ჩვენს არტეს. ოლონდ ეგ არის, ოღონდ ჩვენსაზე მობრდილია.

ივი დააკვირდა. მართლაც, ტყუპისცალივით ჰგავდა მათ შობლიურ პლანეტას. ისეთივე ცისფერი იყო, ისეთივე ციკლონური წარმოშობის დრუქლის სპირალებით მოხატული.

— კარგი, ეგ იყოს.

ხომალიძემ სიჩქარეს უკლო, შემდეგ სივრცეში რკალი შემოხაზა და მიმართულება იცვალა. ივი გაფაცი-

ვის რაიონი შეუსწავლულა. ბევრი სამუშაო გვექნება.

— არა, პროფესორ ბათის ექსპედიციამ ვალაქტიკის ეს რაიონი გულდასმით შეისწავლა, არც ეს პლანეტა გამოჩნებოდა. აქ რომ გონიერი სიცოცხლე არსებობდეს, პროფესორი ქვეყანას მოსდებდა.

ივის ხმა აღარ ამოუღია. აღმერი ხანია, ვალაქტიკაში დახეტიალობს და მისი ოცნება — გონიერი არსებების აღმოჩენა — აუხუნეულ ოცნებადვე რჩება.

— კაცმა რომ თქვას, ახლა ჩვენთვის არც არის სასურველი გონიერი არსებებთან შეხედრა, — ფიქრი შეაწყვეტირა ენმა.

— ვითომ რატომ?

— რატომ და, რა ვციტო, როგორი ბუნებისაი არიან? იქნებ სულაც ჰუმანოიდები არ გამოიღვინენ? ჩვენ კი სხვებთან შესახებლად მომხდელულებით არა ვართ.

ივიმ ხელი ჩაიქნია.

— ოლონდ კი ინტელიქტუალურ არსებებს შეხვდენ და...

ივი პულტს მიუბრუნდა. ხომალი ატმოსფეროში შეიჭრა და აიძვირდა.

კაბინაში საგრძნობლად აიწია ტემპერატურამ. ასტრონავტები ეკრანს მისჩერებოდნენ. ხომალიმა სქელი ღრუბლის შერე გაიარა. გამოჩნდა მწვანე ბალახით დაფარული მინდორი.

— ვეშვებით! — ივი ბერკეტს დააწვა.

ხომალი შეზანზარდა და სვლა შეანელა. წუთიც და, ივი უკვე მინდვრის შეჯაგულში იღვდა, სიმწვანეში თეთრი კვლამატარევი აღმართული.

ივიმ შუბლზე ოფლი მოიწმინდა და გარემო მოათვალიერა. ახლომხლო საუკეთესო არაფერი ჩანდა. მიღამოს ერთხელ კიდევ მოთავსო თვალს და გარეთ გასასვლელად მოეშვადა.

— სკაფანდრი ჩაიციე, ისე ნუ გახვალ!

— არ მინდა, ყანგბალი საკმარისია, არც ტემპერატურაა მაღალი, — თქვა ივიმ, ინსტრუმენტების ყუთის ხელ-

დავლო, ხომალდის ბოლო ნაკვეთარში გადავიდა და ლოუკი გააღო. ნელი სიო უბერავდა. ივის ესიაოვნა მისი ალარსიანი შეხება. მიმოიხედა. მისი პატარა-პატარა ბორცვების კონტურები მოჩანდა. ლაყვარლისფერ ცაზე თეთრი ღრუბლის ქულები მიტუარავდნენ.

დავლა ჩავიდა და ხომალდის საყრდენებს შორის შეძვრა, ღრმად რომ ჩარჭობილიყვნენ მიწაში.

ტუმბოს ჭრილიდან საცხი ეჩინავდა, ჭანჭიკი ძალზე მოშვევლიყო, კიდევ კარგი, საერთოდ რომ არ მოსძვრა, თორემ კატასტროფას ვერ ასცდებოდნენ.

იგიმ ქანჩის გასაღები მთარგო მოშვევებულ ჭანჭიკს და ამძრავი ჩართო. ძლივს მოასწრო თვალების დახუჭვა, რომ ელვის სისწრაფით დატრიალებულმა ჭანჭიკმა საცხის წინწკლები სახეზე შეაშხეფა. ხენეშით გამოძვრა ხომალდის ქვეშიდან. კანი ეწვოდა, ექავებოდა. ხელი მოსისვა. ხელებიც ჭვარტილიან საცხში ამოსვროდა. იცოდა, ენი უთვალთვალებდა. აღბათ სიცილით კვდებოდა კალევის გათხუხუნული სახის დანახვანზე.

— მე ცოტას გავიცი, იქნებ წყაროს წაეაწყდეს სადმე! — თქვა მის გასაგონად იგიმ და ხომალდს გაეცალა.

— ოღონდ ფრთხილად იყავი! — მოესმა ამხანაგის ხმა.

იგიმ ხელის აქნევით დაამშვიდა.

მისი ყურადღება პატარა ოთხკუთხა გორაკების სილუეტებმა მიიპყრო. „რა სიოცარი ფორმა აქვთ, — უყვირდა გულში, — კაცს გონიერი არსების ნახელავი ეგონება!“ რაც უფრო უახლოვდებოდა, გაოცება სულ უფრო და უფრო ემატებოდა. ბოლოს გონება გაუწაფდა.

— სახლები! ეს ხომ საცხოვრებელი სახლებია! — წამოიყვირა იგიმ და სირბილით გაიქცა პირველივე შენობისაკენ.

უზარმაზარი ლამაზი თეთრი შენობა მწვანით დაბურული ეზოს სიღრმეში იდგა.

იგი ჭიშკარის მიაღდა, ძლივს ასწვდა საკეტს, მაგრამ ვალბა ვერ მოახერხა. მესერს ვახვდა, ისიც ძალზე მაღალი იყო, ვერ გადაძვრებოდა. მესერს დაპყვა. ერთგან გამოღვეული ადგილი ნახა, გაძვრა და სახლისკენ გაიქცა. კიბესთან შეჩერდა. პირველი საფეხური ჭიპამდე სწვდებოდა. რიგორც იქნა, აიარა რამდენიმე საფეხური და კარის წინ აღმოჩნდა.

წამით ჩაფიქრდა. ისე მოულოდნელად აეწყო ყველაფერი, ისე გაახარა გონიერი არსებთა ნახვითვის ხილვამ, რომ არც კი დაფიქრებულა, — ეინ იცის, იქნებ სახიფათოც კი ყოფილიყო ამ პლანეტის მცხოვრებლებთან პირველი შეხვედრა! ზარის ღილაკს ახედა. „რამსიმოდლებო!“ —

გაიფიქრა. ახტა, მაგრამ ვერ მისწვდა. კარის სახელური აეპოტინა, ჩამოსწია. ღია იყო. უსაშველოდ გრეცელ მაღალკეობა თითხში აღმოჩნდა! სულოერი არავინ ჭიპავდნენ, სამაგიეროდ, მეორე თაობიდან ისმოდა რაღაც უცნაური ხმაური. იგიმ სახელო მოისვა მოთხუნულ სახეზე და კარი შეღო...

ხომალდში რომ შევარდა, ძლივსა ითქვამდა სულს.

— იგი, რა მოხდა! — მივარდა შემოთვთებულ ვენი.

— ჩქარა! აფერინდეთ! — ჭიშკრით ამოთქვა იგიმ და ლოუკი ჩარახა.

კაბინაში შევივდნენ. ენი პულტს ეცა. ხომალდი აძვივდა, ნელ-ნელა წამოიწია და მიწას მოსწყდა. ორბიტაზე გავიდნენ თუ არა, ენი სავარძელში ღრმად ჩამჯდარ თვალდახუჭულ ივის მიუბრუნდა.

— აღარ იტყვი, რა მოხდა?!

იგიმ გაითიმა, თვალი არ გაუხეულია, ისე გადაფენდა სახეზე ნათელი.

— როგორც იქნა! გონიერი არსებებს შეეგვი!

— რაა? — წამოძახა განცვიფრებულმა ენმა.

— ხომ გუუბნებოდი, არსებობენ-მეთქი! შენ კი გაიძახოდი, კარგად არის შესწავლილიო. ვითხარა, არა? ხომ ხედავ!

იგი დელავდა, ხმამაღლა და უთავბოლოდ ლაპარაკობდა.

— კარგი, დამშვიდდი. მიაგებ ერთი, რა ნახე!

— რა და, შორიდან რომ პატარა ბორცვები გვეგონა, თურმე სახლები ყოფილა.

— სახლები?!

— ჰო, ჩვეულებრივი სახლები! ჩვენთან, სიძველეთა მუზეუმებში რომ გინახავს, ისეთები. ოღონდ უფრო მოზრდილებია.

— მერე?

— დაუფიქრებლად შევედი ერთ-ერთში. რატომღაც მჯეროდა, მისი ბინადარი ზუსტად ჩვენსაირები იქნებოდა-მეთქი. ეზოც, მესერიც, ხეც, შენობაც, კიბეც — ყველაფერი ჩვენებურსა ჰგავდა. ეგ არის, ყოველი მათგანი. უზომოდ დიდი იყო. კი გა-



მივირდა ეს, მაგრამ ბევრი არ მი-
ფიქრია, პირველივე უშველებელი კა-
რი შეველ. ვეებერთელა ვრცელსა
და მალაქურიან დარბაზში აღმოჩნ-
და. ცარიელი იყო. პირდაპირ კიდეც
ორი კარი მოჩანდა. ერთ-ერთიდან
ხმაური მომესმა. მივიღე და შევაღ-
ვი წუთით შეჩერდა, თითქმის და-
ძაბული ამხანაგის ნერვებზე თამა-
შობსო. მერე ისევ განავრძო:

— ჰო, კაცო შევადე. ოთახის შუა-
გულში კარი იდგა.

— კაცი? — აღმოხდა გასუსულ
ენს.

— ჰო, კაცი და თანაც ზუსტად
ჩვენნაირი.

— დაუჩერებელი!

— დაუჩერებელი კი არა... მე ხომ
თავიდანვე ევეი არ მეპარებოდა, რომ
ოთახში ჩვენნაირი არსება დამხველ-
ებოდა, ოღონდ გოლიათური აღნაგო-
ბისა. ასეც მოხდა. მაგრამ შემდგ...

— რა შემდეგი? თქვი, რალს აპოი-
ნურები?

— ოთახში შევედი. კაცმა ყურად-
ღებით დამხედა ზემოდან. გამაჩრია-
ლა. ვიდრე რამეს ვიტყვოდი, კაცი
შტრიალდა და უცებ დაიგრგვინა.
შესაძლოა, იმათეურად ეს დალაპა-
რაკებაც კი იყო. კიდეც რამდენჯერმე
დაიგრუხუნა. ხელში რაღაც უცნაუ-
რი ფორმის საგანი ეჭირა. ეტყობა,
ამ საშინელ ხმას ის საგანი გამოს-
ცემდა. ვიფიქრე, ჩვენთვის უცნობი
ბგერითი იარაღია-მეთქი. ხომ შეიძ-
ლებოდა, ჩემთვისაც ესროლა! ჰოდა,
ერთი ნახტომით მასთან გავჩინე და
ელვის სისწრაფით ხელიდან გამოე-
ტაცა. თან დასაფთოხობად, ყოველი
შემთხვევისათვის, შუბლში დავემიზ-
ნე. კაცი დაიჭყანა და უცნაურად აჟ-
ყივლდა.

ანახლად კარი გაიღო. მე უკან და-
ვიხიე, იარაღი ხელში მეჭირა. ოთახ-
ში ამ პირველზე უფრო დიდი გოლი-
ათი შემოვიდა. ჭერ კაცთან მიძუნ-
ძულდა, ყურში ხელი ჩაავლო და აჟა-
ჩა. დამხედურმა უცნაურად დაიხა-
ლა და შემოსულს თითით ჩემზე ანი-
იშნა. გოლიათი შემობრუნდა, დამა-
ცქერდა და ნაბიჯი გადმოდგა, თან რა-
ღაც დაიჭიჭინა. იარაღი მივეშვირე,
მაგრამ იოტისოდენადაც არ შემიწე-

ბია. გოლიათმა ხელში ჩაბლჭული
უცნაური საგანი მომიჭინა და პირდა-
პირ სახეში მთვთა. თვალთ დამიბ-
ნელდა. პატარა გოლიათის იარაღს
ხელი ვუშვი და ოთახიდან გამოვეარ-
დი. სახე მეწვოდა — ქიმიური იარა-
ღით თუ დამარტიანა დიდმა გოლი-
ათმა. უკან არ მიმიხედავს, აქამდე
შეუსვენებლივ ვირბინე. აი, ასე იყო
ეს.

იგიმ თვლით გაახილა და ამხანაგს
მიაშტერდა.

— აი, ასე იყო ეს, — გამიგორა.

— შენ რას ფიქრობ, იგი? — კმვახ
მოიქექა შეფიქრიანებულმა ენმა.

— რაზე?

— ვინ არიან ისინი? საშიში ხალ-
ხია?

— მე მგონი... ეტყობა, უცხოებ-
ვერ იტანენ, მაღლობა ღმერთს, რომ,
რამდენადც მიგვხვდი, განვითარების
დაბალ დონეზე დგანან. მავათ რომ
კოსმოსური ტექნიკა ჰქონდეთ, წინ
ვინ დაუდგებთ!

ენს გააჟრეოლა.

— მაშასადამე, განვითარების დო-
ნით ჭერჭერობით ჩამოგვარჩებიან,
არა?

— ჭერჭერობით, — ფიქრიანად
დაუქენია თავი ივიმ. — ჭერჭერო-
ბით... — ჩაიჩურჩულა თავისთვის.

ვარსკვლავმფრენი მთელი სიჩქა-
რით მიაჭროლებდა ორ გარინდულ
არსებას. სალონში გამეფებულ სიჩუ-
მეს მხოლოდ კვანტოფონის მონო-
ტონური ტაკეუნი არღვევდა.



... ქალი ოთახს ჰვეიდა, როცა შექ-
რე ოთახიდან ბავშვის ტირილი შე-
მოესმა. ცოცხთ ხელში, გაბრაზებუ-
ლი გაემართა მისკენ. კარი შეაღო.

ბავშვი შუა ოთახში იდგა და ხმა-
მალა ტირილი.

— რა გაღრიალებს?! — ყური აუ-
წია დედა.

— ჩემი ნიანგი! — უფრო აღრი-
ალდა ბავშვი. ქალმა იქით მიიხედა,
სათიკენაც შეიღო ანიშნებდა. ოთა-
ხის კუთხეში კვარტლიანი საცხის
სახეფათხუნული ნამცეცა ბიჭი იდ-
გა. დაბნეული ჩანდა, ხელში უხერ-
ხულად ატრიალებდა სათამაშო ნი-
ანგს, რომელიც ხელის ყოველ მოჭე-
რაზე ჭყაიანებდა.

— ეს გამურული ჭუჭა ვინდაა?! —
დაიყვირა აღმფთვებულმა ქალმა. —
ისეც თამაშობ, ხომ, ქუჩის ბიჭე-
ბთან?! — და „ქუჩის ბიჭს“ ცოცხი
გაუქანა სახეში. — ახლავე მივიცი
ნიანგი, შე საზიზღარო, და მოუსვი
აქედან!

შეშინებულმა ნამცეცამ მამონვე
გააგლო ხელიდან სათამაშო და და-
ფეთებულს მიაწყდა კარს.

ქალი დიდხანს არ დაწყნარებულა,
თავის აცრემლებულ შვილს ყურს
უსრესდა და დაუსრულებლად ტუქ-
სავდა. მისი ბრაზიანი ხმა კი კარგა
ხანს გრგვინსავით მისდევდა უკან
„საიღანდაც მოთრეულ გამურულ
ჭუჭას“, კისრისტებით რომ მიჩბოდა
ნიანგს მოლზე თავისი კოსმოსური
ხომალდისაკენ.



არნილ
ზეინაშვილი,
პროფესორი



საქართველო
ქალაქი

მალის კლება. თანამგზავრის ფრენის ხანგრძლივობა 300 კმ სიმაღლეზე დაახლოებით 500 დღე-ღამეა, ხოლო 500 კმ სიმაღლეზე — 50 წელი.

თუ კოსმოსურ აპარატს მივანიჭებთ პირველ კოსმოსურ სიჩქარეზე ნაკლებ სიჩქარეს, მაშინ ის ორბიტაზე ვერღაც იმოძრავებს და დედამიწაზე ჩამოვარდება.

პირველ კოსმოსურ სიჩქარეზე უფრო სწრაფად მოძრაობისას თანამგზავრის ორბიტა სულ უფრო გაიწელება, წრიული ორბიტა კი ელფფურად გადაიქცევა. ასეთია ის, როდესაც სიჩქარე წამში 10 კმ-ს აღწევს (ნახ. 1), ხოლო როდესაც სიჩქარე წამში 11,1 კმ-ს მი აღწევს, ორბიტა ისევ ელიფსურია. ამ სიჩქარით მოძრაობისას კოსმოსურ აპარატს შეუძლია გარს შემოუაროს მთვარეს (ნახ. 1) და შემდეგ სიჩქარე

ველი კოსმოსური სიჩქარით გაუწევეს დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი, ხოლო 1959 წლის 2 იანვარს მეორე კოსმოსური სიჩქარით მთვარისკენ გაფრინდა საბჭოური კოსმოსური რაკეტა. მან მთვარის ზედაპირიდან 5-6 ათასი კილომეტრის დაშორებით გაიფრინა, დედამიწის მიმდებარე სივრცეს სამუდამოდ გასცილდა და მზის სისტემის პირველი ხელოვნური პლანეტა გახდა.

მესამე კოსმოსური სიჩქარე წამში 16, 67 კმ-ია, მისი მიღწევისას დედამიწიდან გაშვებულ კოსმოსურ აპარატს შეუძლია დედამიწისა და

კოსმოსური სიჩქარეების განსაზღვრა კოსმონავტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხია. უნდა განვასხვაოთ პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კოსმოსური სიჩქარეები.

პირველი კოსმოსური, ანუ წრიული სიჩქარისას დედამიწის მიზი


კოსმოსური სიჩქარეები

დულობის ძალთა ზემოქმედების ფარგლებში მყოფი კოსმოსური აპარატი შეიძლება დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი გახდეს და დედამიწის ირგვლივ წრიულ ორბიტაზე იმოძრაოს. ეს სიჩქარე წამში 7,9 კმ-ის ტოლია. ასეთი სიჩქარით მოძრაობა უშუალოდ დედამიწის ზედაპირის მახლობლად სხეულებს არ შეუძლიათ, ამაში მათ ატმოსფეროს მეკრივი ფენების წინააღმდეგობა უშლით ხელს. ამიტომ არის, რომ ხელოვნური თანამგზავრები და კოსმოსური ხომალდები 150-200 კმ სიმაღლეზე გააყვით — ამ დონეზე ატმოსფერო იმდენად გაიშვიათებულია, რომ შესაძლებელი ხდება კოსმოსური სიჩქარეებით მოძრაობა. ხელოვნურ თანამგზავრს 200 კმ სიმაღლეზე 40 დღე-ღამის განმავლობაში შეუძლია იარსებოს. შემდეგ იწყება სიჩქარის შემცირება და სი-

რის კლებით განახორციელოს დაკლდობა.

მეორე კოსმოსური სიჩქარე, ანუ პარაბოლური სიჩქარე 11,2 კმ-ია წამში. მისი მიღწევისას კოსმოსურ აპარატს შეუძლია დედამიწის მიზიდულობის ძალის გადალახვა და მზის სისტემის სხვა პლანეტებისკენ ფრენის განხორციელება. პარაბოლური ტრაექტორიით მოძრაობისას კოსმოსური აპარატი სამუდამოდ გასცილდება დედამიწის მიზიდულობის ძალთა ზემოქმედების არეს და მზის მიზიდულობის ძალთა გარემოში ხვდება. ამგვარად, ის მზის თანამგზავრად, ანუ ხელოვნურ პლანეტად გადაიქცევა.

ალანაშენაევი, რომ პირველი და მეორე კოსმოსური სიჩქარეები მსოფლიოს ისტორიაში პირველად განახორციელეს საბჭოთა მეცნიერებმა და ინჟინერებმა: 1957 წლის 4 ოქტომბერს სსრ კავშირში პირ-



მზის მიზიდულობის ძალები გადალახოს და ვარსკვლავთშორის სივრცეში გავიდეს.

მეოთხე კოსმოსური სიჩქარეა წამში 360 კმ. ამ სიჩქარის მიღწევისას კოსმოსური აპარატი ჩვენი გალაქტიკის ფარგლებს გასცილდება და სხვა გალაქტიკებში გადავა (გალაქტიკა ვარსკვლავთა ერთობლიობა. 150-200 მილიარდი ვარსკვლავისგან შემდგარ ჩვენს გალაქტიკაში მზე ერთ-ერთი ვარსკვლავია).

განვიხილოთ კოსმოსური სიჩქარეების მიღწევისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებანი.

ცნობილია, რომ კოსმონავტიკის

მეობრის ქორწინება



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ. მამბუკიძე

გ. თ. ხ. მ. ბ. ა.

მხატვარი თ. ფანიანიძე

დილით მამამ კირას სამანეთიანი გაუწოდა და უთხრა: კირუშკა, სადღესასწაულო სახუტარი იყიდე შენთვის, კარგი?

დღეს არ ესიამოვნა, ვინ ასაჩუქრებს ასე ერთადერთ ქალიშვილს? მამამ უხერხულად აიჩივა მხრები და ხელები გაშალა. ეს კი ნიწმინდა: რა გქნა, დაკავებული ვარ, უნდა გამიგოთო.

დღემდ ხელი ჩაიქნია: — შენ თანამედროვე კაცი ხარ, იქნებ მ მარტს მეც ფული გინდა მარტო ყვავილების ნაცვლად? აბა, გაზედე!

— შენ? რას ამბობ, არც მიფიქრია. — არადა კირა მიხვდა, რომ მამა დედათვისაც სწორედ ფულის ჩქეპებას აპირებდა და ახლა ნანობდა, რომ ამას ვეღარ ვააყეთებს.

— კირას არ სწყინს, ხომ, კირა? — მამამ ნაწნავი მოქაჩა, თავი აუწოა, თვალბეში ჩახვდა და დაუმატა: — ჩვენ ახლობლები ვართ და ასეთი წვირილმანი ანგარიშები ერთმანეთთან არ გვეპირდება. — მამა ამას ცოლის გასაგონად ამბობს, კირას არ უყვარს, როცა მშობლები მას მიმართავენ, სინამდვილეში კი ერთმანეთის გასაგონად ლაპარაკობენ. თითქოს კირა ტრანსფორმატორი იყოს, მასში დენს ატარებენ და უნდათ სათანადო ძაბვა მიიღონ.

— მე წავედი, ერთი რამე უნდა ვიყიდო ჩემთვის, მე ვიცი, რაც! — საჩქაროდ ჩაიხედა პალტო კირამ. — გითხრათ, რას ვიყიდო?

დღეს თითქოს იცო ესმის კირას ლაპარაკი, ისიც წასასვლელად ემზადება. ჩქეპა შეიკრა და კირას მიუბრუნდა: იცი რა, ჩემო კარგო,

არ შეიძლება წვირილმანი ანგარიშები ვეწოდოთ ჩვეულებრივ ადამიანურ მოთხოვნილებებს. საჩუქარი ყურადღების გამობატულებად, როცა კაცს ასაჩუქრებ, იმზე ლაპარაკი, რომ ძალიან დაკავებული და მოუცული ხარ, უყურადღებობაა და სხვა არაფერი.

ტრანსფორმატორს არ აღეგვებს მაღალი ძაბვა, ის ხომ ადამიანი არ არის, წყნარად გუგუნებს თავისთვის, ცვლად დენს არეგულირებს. ამის შესახებ კირას მამამ უამბო, მაშინ კირამ ვერ გაიგო ყველაფერი, მაგრამ მამამ დაუმატა: დაიწყებ ფიზიკის სწავლას და მერ უკეთ გაერკვევი, მანამდე კი უნდა გვსოდღეს, რომ მამა ძალიან დაკავებულია.

კირას მამა ინჟინერ-ელექტრიკოსია. ქარხანაში მას აფასებენ და პატივს სცემენ. კირაც აფასებს თავის მამას: პატივს სცემს და უყვარს, და სწყინს, როცა დედა მამაზე გაჯავრებულია.

— გითხრათ, რას ვიყიდო? ახლავე, როგორც კი „კულტსაქონლის“ მაღაზია გაიღება!

კირა ცდილობს მშობლებს ცნობისმოყვარეობა გაუღვიძოს. ნუთუ სრულებით არ აინტერესებთ, რას იყიდის მათი შვილი ამ სამი მანეთით?

დღეს სამსახურში ეჩქარება და კარის სახელურს რომ წაეტანა, მამინდა იკითხა:

— რას იყიდო?
— გუამის საღებავებს. აი, რას! — უხანძროდ უმაჟსხა კირამ. როცა უნივერსიტეტს გეკითხებიან, შენც ისევე აძლეე პასუხს.

კირამ იყიდა პატარა ყუთში ჩაწყობილი მწვინური ფერად-ფერადი საღებავები. სულ 12 ფერი იყო — კაშკაშა, მსუყვე და სურნელოვანი. სახლში მოიტანა თუ არა, მაშინვე მიუჯდა სახატავს.

უქიავს ფუნჯი კირას და იცის, რომ შეუძლია ყველაფერი ხატოს, რაც გაეხარდება, მაგრამ რა გაეხარდება? ყველაფერი, რადგან მას აქვს ის, რაზეც ოცნებობდა: კაშკაშა, იდემალებით სავსე გუამის საღებავები. წინ თეთრი, ქათქათაფურცლებიანი ალბომი უდგეს.

კირა ფუნჯით ყუთულ საღებავს იღებს და მზესუმზირას ხატავს, მზესუმზირას თითქოს ნიაგი არხევსო, ყვავილის გრძელი ფურცლები სხვადსხვა მხარეს სხივებივით იშლებიან.

შემდეგ კირამ ფუნჯი ლურჯ საღებავში ჩააწო და ლურჯი ფრინველი დახატა.

— მტერძა თუ ვევი? არა, უბრალოდ ლურჯი ფრინველია. კირას უნახავს ასეთი ფრინველი მდინარე ზონკას ნაპირზე. სწორედ ამ პატარა მდინარის პირზე იყიდა მამამ მარშან მომცრო სახლი.

კირას კარად ასსოვს ის საღამო, როცა მამა ბედნიერი შემოვარდა სახლში და ზღურბლიდან დაიძახა:

— გოგოებო! მე პატარა სახლი ვიყიდე მდინარე ზონკაზე!

დღემდ ამაზნის ხეზე შეწყვიტა, სახეზე ჩამოშლილი თმა ვადაიწია და იკითხა: — რა სახლი? რა ზონკა? რას ამბობ?

— ნამდვილი სახლი, საკუთარი, თანაც იმედ! აწი ზაფხულობით იქ

დავისკვნენ ხოლმე და ჩვენი ცხოვრებიდან სამუდამოდ გაქრებიან აგარაკის მებატრონე დიასახლისები.

კირამ თავი შეიკავა, რომ „ვაშა“ არ ეყვირა. მათი აგარაკის დიასახლისმა დღიდა ნადიამ ცუდად ამოიჩემა კირა, სულ ეჩვენებოდა, რომ გოგონა ხენდროს უნდავლევდა.

„უთხარით თქვენს კირას, ხენდროს ნუ ეტანება, ჩერ შემოუსვლელო და შეიძლება მუცელი ატყინოს. მე ხენდრო კი არ მენანება, ბავშვის განმრთელობა მაძარღვებს. მე კულტურის დამსახურებულ მუშაი ვარ და მესმის ადენია“. დღიდა ნადიამ ეს წოდება ბიბლიოთეკაში მუშაობისთვის მიიღო. რა შუაში იყო ამ მუცლის ტკივილი? რა თქმა უნდა, მას უბრალოდ ხენდრო ენანებოდა. კირამ სინამდვილეში მხოლოდ ერთხელ გასინჯა რამდენიმე ცალი ხენდრო.

— რა საკუთარი სახლი? — იკითხა დედამ მკვებელ.

მამა კი აღტაცებული განაგრძობდა:

— ცალკე სახლი, — საკუთარი ქუჩა, ორი ოთახი და პატარა სათავსო. როცა მამა კარგ ხასიათზეა, დედა კი ხანჯასმით მშვიდი, ისინი თითქმის ერთმანეთს კი არ ელაპარაკებიან, თავთავისთვის ლაპარაკობენ.

— საკუთარ სახლს მდინარე ზინკაზე საკუთარი მანქანაც სჭირდება, — უხალისოდ ამბობს დედა.

— არა უშავს, ავტობუსით ვივლით, — უპასუხა მამამ.

— დღეს შენ ავტობუსით იყავი იქ?

— მე? მე ტენევიომ წამოყვანა — სულ საათნახევარი მოვლდით, შესანიშნავი იყო, მშვენიერი პატარი.

— აა, ტენევიო? ისევე ტენევიო. მისგან ხომ ჭკვიანურს არ უნდა ელოდეს კაცი! — და დედამ განაგრძო აბაზანის ხევა.

— რა დაგიშვა ტენევიომ? — მამას ხმა ჩაუჭრა.

— მე — არაფერი — დედა აბაზანაში იყო ჩაყუდებული და მისი ხმა ისე უღერდა, როგორც ბოთლში ჩამწყვდული ზინისა. კირას ასეთი ზინი თოქინების თეატრში ენახა.

— მე — არაფერი, მე არც მივ-

ცემ მაგის უფლებას, რომ რამე დამიმოსოს. მაგრამ შენ, შენ ჩამო კარგო, ტენევიო სულ რაღაცას გვენებს.

— მაინც რას? — მამამ ბოლოს და ბოლოს ლაბადა ვაიხადა და საქმის გაწყობა დაიწყო.

— რა და, ცდილობს ოჯახს ჩამოგაშროს, მომბეზრდა ეს შენი კლასებლები, ამხელა კაცები ხართ, შენც და ისინიც, და ბავშვებით კი თამაშობთ, პატარა ბიჭვით მეგობრობთ.

კირა აბაზანაში შევიდა: — დედა, სამაგვიროდ, დედა ნადია ვეღარ ვუთხრებანებს ვერაფერი. ჩვენი საკუთარი ხენდრო გვექნება, პამაკასაც, სადაც გვინდა, იქ ვავაზამთ.

— ყველაფერი მომბეზრდა, — ჩეილაპარაკოვდა დედა. — ყველაფერს რეალურად უნდა უყურო, მიწაზე უნდა იცხოვრო და არა პაერში იტყინო. გეშმის, კირა?

მამამ ჩანგალი მაგიდაზე დანარცხა.

— კირა, შენ შეგეძლება ითევზაო, იბანაო. რაც შეეხება მეგობრობას, მეგობრობამ ასაკი არ იცის, კარგად დაიმახსოვრე. ზოგიერთებს ჰქონიათ, რომ მოზრდილებმა უნდა დაივიწყონ თავიანთი მეგობრები. ტენევიო ყველაფერს აკეთებს, რომ ჩვენ ერთმანეთი არ დავკარგოთ და ჩვენ მალღობელი ვართ მისი.

მალღობი ძაბვა არც ვახშმის დროს განმუხტულა. მამამ მხოლოდ ორი ყლუბი ჩაი მოსვა და ოთახში გავიდა.

საავარაო სახლი მართლაც მშვენიერი აღმოჩნდა. იგი შემალღობულზე იღვა და მზე ყოველი მხრიდან აღდგებოდა. მისგელი ხის მორბობისაგან იყო ნაგები, ფეხქვეშ ფიცრის იატაკი ჭრიჭინებდა, სხვენს პატარა საჩქემელი ჰქონდა.

— ერთი უბრალო ქოხია, — აზრი გამოთქვა დედამ.

— მე იქ ვიცხოვრებ, შეიძლება? — სხვენის სარკმელზე მიუთითა კირამ.

— ეგ სხენია, — უპასუხა მამამ და ხელი მიუთათუნა, — მოგწონს სახლი?

— მშვენიერია, ქოხი რაღას ნიშნავს?

— ქოხი იმას ნიშნავს, რასაც ტენე-

ნევიო არასდროს არ იყიდის თავისთვის, სხვას კი, ვთქვათ, ქალზე ჭკვიან კაცს. ურჩევს, უპასუხებდა.

იმ წელს მშვენიერი ზაფხული იდგა. მდინარე ზინკა თბილი და ალურსინიანი გამოდგა. თევზები ნაპირთან ზედ ფეხებთან დასრიალებდნენ. მამამ თქვა, ეს ლოგსიტებია, ნამდვილი ღიდი თევზები კი სიღრმეში ცურავენ.

კირამ გაიხსენა ეს ყველაფერი და სახატავს მიუბრუნდა.

კირას ძალიან უყვარს ლურჯი ფერი და სწორედ ამ ფერით დახატა მდინარე ზინკა, ნაპირზე კი მუქი მწვანე ბალახი და ღია მწვანე არყის ხეები დახატა. ლურჯი ფერი ითვლება დაიხატოს ზღვა, შემოღამება, მუქი ყავისფერით — სოფლის განაპირას მდგარი მუხა.

კირას გაეხსენდა ასეანლა, რომელზე შეიძლება იქ ვაქანდე, რომ რტუბლები სულ ახლოს მოგეჩვენება, დიდ დახატა წითელსარაფიანი გოგონა, რომელიც საქანელით ცისკენ მიფრინავდა.

რა კარგია ეს ახალი საღებავები, როგორ ელავენ, ციმციმებენ. წითელი ცეცხლივით ანთია. მწვანე ფერი აზრეშეშეშე ვიფრება მიდამოს... და კირა გატაცებით ხატავს მინდორში გაბნეულ ნახირს, დიდ შავლაქებთან თეთრ ძროხებს, კეთილ და სეველიან ძროხებს. კირას არასდროს არ უნახავს ხალისიანი ძროხა და იმიტომაც დახატა სეველიანი ნახირი, მენახივთ ძირა რომანი, რომელიც მათრახით მხოლოდ აშინებს ჩამორჩენილ ძროხებს და ისინიც სასაცილოდ გაბრბან. შეიძლება ამიტომაც არაიან ასე სეველიანები, რომ სულ ერთად სიარული უწყვეთ, იქნებ ძროხასაც უნდა მარტო დარჩენა თავის თავთან.

ფუნჯი ქალაქად დაფრინავს, სურათები მწვანედა იხატება.

კირას არ უყვარს ბალახის თითოეული ღეროსა თუ ძროხის ყურის ზედმიწევნით გამოხატვა, ისედაც ყველაფერი გასაგებია, მწვანე ტალღოვანი ზოლები — არყის ხეებია, შავ-თეთრი მარტოუხედეები — ნახირია, ყვითელი წრე, ყველას თავზე

რომ აღვას — მზეა. მზე, რომელიც ყველას სჭირდება.

რა მშვენიერი საღებავებია! კირას ძალიან უყვარს ფერადები. პიონერთა სახლის ფერწერის სექციის ხელმძღვანელმა იური მასწავლებელმა უთხრა კირას ამასწინათ — შეიძლება ნამდვილი მხატვარი არ გამოხდეს, მაგრამ თუ ფერი გიყვარს, ეს უკვე ბედნიერებაა.

რა თქმა უნდა, ბედნიერებაა ფერების სიყვარული, — ფიქრობს კირა, მით უმეტეს, რომ ახალი გუაშის ფერადები მაქვს, ძველი აკვარელის ყუთს ხელსაც აღარ ვაწვებ, იმაში სულ მუქი ფერებია, თითქოს მტკრიანები, თანაც უკვე დაღუღულები, როცა ბევრს ხატავ, საღებავები ილევა. გუაში კი არც გაუფერულდება და არც დაილევა.

დღეს კირას ხატვის მეთი არაფერი არ უნდა, სამზარეულოში თუ გავაზოქმე საღებავისთვის წყლის გამოსაცხველად, ფუნჯს კარგად გარეცხავს ხოლმე, გუაში რომ არ გაფუჭდეს, ფერები არ აირიოს. ფერი ხომ სუფთა უნდა იყოს. კიდევ ერთხელ დახედა თავის ნახატს გვერდიდან და იური მასწავლებელი რომ იტყვის ხოლმე, ისე თქვა: — ამ სურათში რაღაც არის.

მზესუმზირა ანათებს და ოთახიც ნათდება მისგან.

დედა ისე ენერგიულად შემოვიდა ოთახში, რომ ფარდები შეირხა. ლოყაზე აკოცა კირას. სამზარეულოში გავიდა და იქიდან იკითხა:

— სუბი ჰამე? — უქმე უქმედ დარევიმი — რევიმად. არავითარი მშრალი საჭემლო.

— დედა, ნახე, ახალი საღებავებით ვხატავ, ლამაზია? — დედამ არც კი დახედა ნახატს, ისე უბასუხა, ლამაზია, ლამაზი. წადი ახლა და სუფთა პაერზე გაიარე, მშვენიერი ამინდია, შენ კი მთელი დღე სახლში ზიხარ. აბა, ცოცხლად, ცოცხლად.

— სახლშიც სუფთა პაერია, სარკემელი ღია მაქვს, — უთხრა კირამ, მაგრამ შეატყაო, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა.

ქული დაიხურა და იკითხა:

— რა ვაკეთო სუფთა პაერზე?
— რაც გინდა, — უბასუხა დედამ.

— რაც მინდა? აბა რა ვიცი, რა მინდა.

ცარიელი ეზო, ლურჯი საღამო. ლურჯი, როგორც კობალტი. მხოლოდ გაზაფხულზე შეიძლება იყოს ასეთი ფერის ცა. ასეთი ლურჯი, უფრო სწორად — მუქი იცხვარი. სახლის ფანჯრები სხვადასხვაფერად ანათებენ, როგორც ყუთში ჩალაგებული გუაშის ფერები. ზემო სართულის ფანჯარა ზურმუხტისფერად ანათებს, მის გვერდით ყვიფელი ფერი გამოსჭვივის ფანჯრიდან, ზოგი ფანჯარა კი ჩაბნელებულია და მუქი ფერისაა.

კირა გაყინულ ფანჯატურში შევიდა, სკამიდან თოვლი გადმოწმინდა და დაჯდა, ირგვლივ სიცივე და მოწყენილობა სუფევდა, ხის ტრეტებზე რძის თეთრი კოლოფები ქანაობს. ისინი მეგზოვებმ დაჰკიდა, შიგ ჩიტების საყვებია. დღისთი ბელურები საყენის კენკვას არ აცლიან ერთმანეთს, ახლა კი საღამოა და

ბელურებს სძინავთ.
— აუ, აუ, — ვილაკამ კირას საყვილოში ხელი წავიღო. კირამ შეჰყვირა და გულგანათქილი ფანჯატურადან გამოვარდა.

სერიოზა იდგა და გულიანად იციწინდა.

— ხომ არ შეგაშინე? პირდაპირ გაოგნებული ხარ!

— არაფერიც, უბრალოდ, მოულოდნელობისაგან მომივიდა. როგორ შეიძლება ასე ქურდულად მოპარვა და ყვეფთ შეშინება! შენ ხომ უკვე იღი ხარ, თერთმეტი წლისა.

— გეხუმრე, რა მოხდა? აქ რას დაცულებულხარ?

— კი არ დაცულებულვარ, ვესერიზობ, — უბასუხა კირამ და იგრძნო; რომ, როგორც ყოველთვის, სერიოზას აღმზარდლობითი ტონით ელაპარაკებოდა. რატომ? თვითონაც არ იცნდა.

— შენ მთელი დღე სახლში იყავი?
— ჰკითხა კირამ.



— არა, ბორცვზე ვიამაშობდი, შენ რატომ არ მოხვედი?

— არ ვიცი, მე ვხატავდი, მამამ გუამის საღებავები მაჩუქა, იცო, რა სახელწოდებები აქვთ: ულტრაამარინი, ქლორის ჟანგი, ლურჯი კობალტი.

— კობალტი რა არის?

— კობალტი ლურჯი საღებავია, ლურჯიც არა, მუქი ცისფერი.

— ერთი შენც — უფრო მუქი, უფრო ღია, თქვი რა, ცისფერი-თქო და მორჩა.

ამ დროს სერიოჟას ამხანაგებმა დაუძახეს ჰოკეის სათამაშოდ და ისიც გაიქცა.

მეორე დღისას კირამ ისევ ხატვა დაიწყო. აი წაბლისფერი ქოჩორი, მოწითალო ლოყები, ნიკაბი, ფოსო, მომლიძირი დიდი და მხიარული ბავა და ბოლოს, კობალტისფერი ლურჯი თვლები.

ყველაზე ძნელი პორტრეტის ხატვაა. ეს ყველა მხატვარმა იცის. პორტრეტში კი ყველაზე ძნელი თვლებია. ფუნჯით ქაღალდს შეეხო, ლურჯი კობალტი აჩრჩია. თვლები ლურჯი? არა, უფრო ცისფერი, მაგრამ არც ცისფერი, ლურჯზე უფრო ბაცი და ცისფერზე უფრო მუქი, მოკლედ, კობალტისფერი.

კირა ვაღაიხარა და გვერდიდან დიღხანს უყურა პორტრეტს. ჰვავს? მაინც და მაინც არა, მაგრამ რაღაც არის საერთო. კალამი აბლო და მიაწერა: — კირა მეგობრის პორტრეტი“.

მას ჭერ მეგობრები არა ჰყავს, მაგრამ ხელმოწებანში აუცილებელი არ არის სინამდვილის ასახვა, შეიძლება ოცენებაც დაწახტო.

მეგობრის პორტრეტი გადამეხუთხურს კირას.

საღამოს პიონერთა სახლში კირამ გაიგო, რომ იური მასწავლებელი მათი ნახატების გამოფენას აპირებდა.

— მოიტანეთ თქვენი ახალი ნამუშევრები, ის, რაც არდადეგებზე დახატეთ, — უთხრა მან ბავშვებს.

და აი, პიონერთა სახლის ევსტიბიულური მოსწავლეთა ნახატების გამოფენა გაიხსნა.

ამ სურათზე ყვავილები ხატია,

ზედ წვიმის წვეთები აქვს შერჩინილი.

შემდეგ სურათზე ამწებია, ისინი ერთმანეთს მიყოლებით მიაბიჯებენ და ზევაში შედიან.

ავარ საციგურაო მოედანი, თეთრი, წითელი და ლურჯი ფიგურები დასრიალებენ. კირას თითქოს მუსიკაც ესმის. ეს საციგურაო მოედანი ყველაზე პატარა გოგონამ, გალიამ დახატა.

„მეგობრის პორტრეტი“ — წაბლისფერი ქოჩორით, ვარდისფერი ლოყებითა და ლურჯი, კობალტისფერი თვლებით შეუაში ჰკვილია.

— ამში რაღაც არის, ნათელიდან დახატე? — ჰკითხა ოური მასწავლებელმა კირას ვაგშინ.

— არა, ზეზირად, — უპასუხა შეცბუნებულმა კირამ და ბიჭების მისახმარებლად გაიქცა, სურათები რომ ჰქვიდებდნენ. კირამ ის დახატა, ის კი ვერდასრლოს ვერ გაიგებს ამას. ამ გამოფენაზე ხომ არ მოვა, ასეთი რამეები სულ არ აინტერესებს.

აკრობატის სექციის გოგონები ნახატებს ათვალიერებდნენ.

კირა იქვე იდგა, მაგრამ გოგონებმა არ იცოდნენ, რომ სწორედ ის იყო კირა.

— შენ რა უფრო მოგწონს? — ჰკითხა ამხანაგებს ერთ-ერთმა, ბელურას რომ ჰვავდა.

— საციგურაო. ყვავილები. და მეგობრის პორტრეტი.

კირა სისხარულმა აიტანა, რა კარგია, როცა შენს ნამუშევრებს შეაქებენ. კარგია, რომ მართო მას კი არ მოსწონს ეს მშვენიერი სახე, ნიკაბზე ფოსო, წაბლისფერი ქოჩორი და გაზაფხულის ცისფერი თვლები.

— სუბინიჩევა კირკა, სადაც მიწვალ, ყველაგან ეს კირკა, — მოისმა უქნიდან.

— სერიოჟა! — ის იყო, იდგა ნაცრისფერ ქურთუქში და ძველ ჭინცებში გამოწყობილი, მაღალი, თხელი, აბჯრბებული ლოყებით. აღმათ, ითვ ჰოკეი ითამაშა.

ვაიმე, ახლა დაიხსახეს პორტრეტს და ყველაფერს მიხედება — აფორაიქდა კირა. ცდილობდა ავარებოდა, მაგრამ პორტრეტი საკმაოდ მაღლა ეკიდა. რატომ მოვიდა? ის

ხომ არასდროს არ დადიოდა პიონერთა სახლში.

— რატომ მოხვედი? — ჰკითხა კირამ სერიოჟას.

— ტანვარჯიშზე უნდა ჩავეწერო, — უპასუხა მან, ხელით გასწია კირა და სურათების თვალიერება დაიწყო.

— ნახე, სერიოჟა, ერთმა გოგონამ რა ლამაზი ყვავილები დახატა, გალია კირიუშკინამ, იცი, მესამეკლასელია.

— ყოჩაღ, კირიუშკინა, ლამაზი სურათია.

— ეს რა, შენი ნახატი ხომ არ არის? — მან დიღხანს უყურა პორტრეტს, მერე კირას. კირა მზად იყო გამჭრალიყო, მაგრამ აბა, როგორ გამჭრალიყო.

— რა სულელი ვარ, რატომ ძროხები ან მზეხეშობია არ წამოვიღე, მაინცდამაინც ეს პორტრეტი წამოვიღე გამოფენაზე, როგორ ავუსხსნა ახლა, რომ ოცენბაა, ფანტაზია? და იმიტომ კი არ დაუხატავს, რომ შეუწყვარადა.

— ეს პირობითობაა, გესმის? — ძლივს ამოიღულულდა კირამ, — მეგობრის პორტრეტი, ეს აზრია ასეთი.

— ვაგიგე, — ჩიბურტყუნა სერიოჟამ და კიხეს აუყვა.

კირა მარტო დარჩა სურათებთან.

ყველა დაშთაოლიერებულს მოეწონა კირას სამუშევარი, ყველა აქებდა მის პორტრეტს. იური მასწავლებელმა სტუდიაში შეიყვანა, ნახატი შეუქო: — ოღონდ თავში არ ავივარდეს! ფერის გრძნობა ძალიან კარგია, მაგრამ ჭერ კიდევ ყველაფერი არ არის. კარგი პორტრეტი. გეტყობა, გულჯირილი არ უნდა იყო ამ მეგობრისადმი?

— არა, რას ჰრძინებთ, — შეცბაკირა.

გოგონა პიონერთა სახლიდან გამოვიდა. ნელი ნაბიჯით გაუყვა ქუჩას.

ამ დროს უქნიდან თოვლზე ნაბიჯების ხმა შემოესმა.

— ნუთუ სერიოჟაა? იქნებ რაიმე კარგი უთხრას, მნიშვნელოვანი, როგორც კინოფილმებშია?

მაროლიც სერიოზა იყო.
— ჩაუწერე ტანვარჯიშის სექცი-
ში? — ჰკითხა კირამ.
პასუხის ნაცვლად მან ერთი მაგ-
რად უთავაზა კირას კისერში.
— შენ რა? რისთვის? — დაიბნა
კირა.

— არაფერი! მეგობარი იპოვე,
არა, ვილად? სულელი, არანორმა-
ლური სულელური სახე, წითელი
ლოყები, თვალები კი გოგოსავით
ცისფერი. სად იპოვე ასეთი?

ესე იგი, ვერ იცნო თავისი თავი?
კი მაგრამ, რატომღა წამომარტყა?
რატო გაბრაზდა?

— სერიოზა, ეს პირობითობაა, —
ამბობდა ვახაბრეული კირა, იგი ყვე-
ლაფერს მიხვდა. სერიოზა ჩქარი ნა-
ბიჯით გასცილდა. მერე მოხედა და
მოაშაბა:

— კიდევ მოგხვდება ჩემგან. მე-
გობარი იშოვე, არა, პირობითობაა,
ხომ?

კირამ კისერზე ხელი მოისვა და
სახლოსკენ გაიქცა.

რა კარგი საღამოა! კისერში კი
მომხვდა, მაგრამ არა უშავს. რა
კარგი ვეჩნე, რომ გამოფენაზე ეს
პორტრეტი გავიტანე და არა ძროხე-
ბი ან მხეცმუხრია. „მეგობრის პორ-
ტრეტი“ კირას ყველაზე კარგი ნახა-
ტია. თუმცა მაინცდამაინც ვერ მი-
ამსგავსა.

თარგმანი ვულნარა კოპალაძის



პანწოლდ
მამამაორი

ხე



სიკოცხლის

ადამიანს ზე ოლითაგანე მიუჩნე-
ვია სიკოცხლის სიმბოლოდ, რად-
გან სწორედ მცენარეებისა და, კერ-
ძოდ, ხეების წარმოშობამ განაპი-
რობა დედამიწაზე ორგანული სამ-
ყაროს შემდგომი ევოლუცია, ცოც-
ხალ ორგანიზმთა სხვა ფორმების
გამრავლდებოვებება. ადამიანის —
გეოლოგიური ქრონოლოგიით პლა-
ნეტის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზ-
რდა ბინადარის — ციცილიზაცია
დღემდე დიდად არის დამოკიდებუ-
ლი მცენარეზე, სახელობრ, ხეზე,
უფრო ზოგადად კი — ტყეზე.

კაცობრიობის ევოლუციის გა-
რიყრეაზე ტყე იყო ადამიანის უმ-
თავრესი საარსებო წყარო, ძირი-
თადად იგი იძლეოდა ნაღირ-ფრი-
ნელის ხორცსა და მცენარეთა ნა-
ყოფს, საკვებად ვარგის ფესვებს.
პირველყოფილი ადამიანი თითქმის
ყოველთვის ტყეში მოიპოვებდა
თავშესაფრის ასაგებ და იარაღის
დასამზადებელ მასალას.

ამიტომ არის, რომ ზოგჯერ სვე-
ციხლისტები ჰქვს ხანას ხის ხანსაც
ეხსიან. ჰქვს ხანის ადამიანის ძი-
რითადი საქმიანობა ნაღირობა გახ-
ლდო, იარაღს კი იგი, ქვასთან ერთ-
ად, ხსიანაც ამზადებდა. ამას-
თან, ხე იყო იმჟამად ერთადერთი
საწვევი ნედლეული.

მაგრამ ტყე ადამიანსათვის მარ-
ტო არსებობის კი არა, ზიდათისა
და შოშის წყაროც იყო. მტაცებელი
ნაღირი, შხამიანი ცხოველები თუ
მცენარეები ყოველ ნაბიჯზე სას-
წორზე აგდებდნენ მის სიკოცხლეს.
ამასთან, პირველყოფილი ადამიანის
დაბალი ინტელექტი, რა თქმა უნდა,
ერს სწვდებოდა მცენარეთა განვი-
თარების საიდუმლოებებს. მისთვის

იღუმალბით იყო მოცული ხის მე-
გეტაციათთან დაკავშირებული მოვ-
ლენები — ფოთოლცვენა, ყვეცილე-
ბა, ნაყოფობა... ტყესთან და მის
ცალკეულ ხეებთან დაკავშირებული
ეს საკითხები წინაარსებობოვლი ად-



ქველვა (ახმობის ნაწარმოი)

ამიანში, ალტაცებასთან ერთად, შოშ-
საც იწვევდა. ასე ეყრებოდა საფუძ-
ველი ხეთა თაყვანისცემასთან დაკავ-
შირებულ რწმენებსა და ჩველე-
ბებს.

ადამიანმა ხე იმთავითვე სიკოცხ-
ლის სინონიმად რომ მიიჩნია, ამა-
საც აქვს თავისი ახსნა: განვითარების
ადრინდელ საფეხურზე მყოფი ად-
ამიანის თვალში ხის ზრდა-განვითარ-
ება მისი საკუთარი ზრდა-განვი-
თარების ასოციაცია მზადებოდა, ხის
ნაყოფიერებაში ხედავდა იგი თავი-
სი გამრავლების სიმბოლოს, ხის
ხმობასა და ლობაში — თავის სიკე-
დილს.

მაგალითად, ძველ ეგვიპტეში
თურემ ლევი სიკომორი ღვთაებე-
ბის — ნატისა და ჰეთოსის საცხოვ-
რებელ ადგილად ითვლებოდა. მცე-

ნარისა და ღვთაების ამგვარ დაკავშირებას ჰქონდა თავისი ლოკა — მსგავსად სხვა სახეობის ლეღვის ხეებისა, სიკომორის ხის ორგანოები რძის მსგავს წვესს შეიცავს. ჩვენამდე შემორჩენილი ერთ ძველ-ევგვიპტურ სურათზე გამოსახული მომავალი ფარაონი, რომელიც ღმერთი სიკომორის არაძი, იკვებება, რათა ამ მცენარის მაცოცხლებელ-მა წვენიმა ძალ-ღონე დაუბრუნოს მას.

ძვ. წ. 1400 წელს გაკეთებულ ერთ-ერთ ეგვიპტურ საფლავის ქვაზე გამოსახული უღამნოს პალმა (მსგავსად სელვისა, ხეცე წმინდა მცენარედ ითვლებოდა ეგვიპტეში). სხვა სარკოფაგებზეც ათობით ხე-მცენარეა გამოსახული. ეს სურათები მეტწილად ხეზე შემოხვეულ ან ხესთან შეზრდილ ქალღმერთებს გამოხატავენ. ეს მინიშნებაა იმაზე, რომ ქალღმერთები ხის ნაწილიან არიან, ხოლო მათი მკვდრი სიკოცელის წყაროს სიმბოლია. ჩვენს წართაღრიცხვამდე 900 წლით დათარიღებული ერთ-ერთ ასირიულ ნახატზე ფურთებით დამშვენებული ადამიანისასხიანი ანგელოზები ასირიელთა წმინდა ხის — ფინიკის პალმისადმი ოცნას ავლენენ.

წინდელით, ვინდავანას ტყე. ინდოელთა ღვთაება კრიშნა თავის კეთილგანწყობას გამოხატავს მწყემსი და მწველავი ქალების მიმართ, წმინდა ხის — კდამბას ძირში მდგარი, იგი მოფულობს ხის ნაყოფებს, მიზინდონ მოკვდივი მწყემსები და თავიანთი ღვთაების ირგვლივ გააერთიანონ.

ხესთან დაკავშირებული მითოლოგია განსაკუთრებულ დატვირთვის იძენს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში. ცნობილია, რომ ამ ზღვის აუზი კაცობრიობის ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი ცენტრია.

იმ დრისისთვის, როცა აქ პირველყოფილი ადამიანი დაფუძნდა, ადგილობრივი ლანდშაფტები უზნად იყო შემეკული ტყის საფარით. მაგრამ როდესაც ამ მდამოკლებში ანტიკური კულტურა გავრცელდა, ტყეები უკვე საკმაოდ შეზღუდული იყო. მიუხედავად ამისა, ანტიკურ ქვეყნებში

კულტურების მცენარეების ცალკეულ წარმომადგენელთა გამო-სახულებიანი აშვენებდნენ აქაური სახასულების სვეტებსა და ფრიგებს. აქაურ ლარინაკებსა და აფროტებს — ბერძენ და რომაულ სახელანთქმულ ხუროთმოძღვრათა და მეთუნეთა იშვიათ ნაკეთობებს...

ველური ფორის ცალკეულ წარმომადგენლებთან არის დაკავშირებული ძველბერძნული მითოლოგიის ღვთაებთა მთელი პანთეონი. ასე მაგალითად, ზევსი დაკავშირებული იყო მუხისთან, აპოლონი — დაფნასთან, ათენა, — ზეთისხილთან, აფროდიტე — მირტიცხებთან. ტყის ნიმუშები, დრიაღები მუხის ძირში ცხველებდნენ, თემბუიკ მუხის ფოთლები ჰქონდათ ჩაბნეული. ერთ რომელიმე ხეს უკავშირდებოდა თითოეული ნიმუშაც. როდესაც ხე ხმებოდა, ხს ნიმუშას სიკვილსაც ნიშნავდა.

დღემდე პოპულარულია გადმოცემა აპოლონისა და დაფნისის შესახებ. აპოლონი დაედევნა დაფნისს, ამ უკანასკნელმა შველა სთხოვა დედამიწას — გეას. გეამ დაფნისი მიწაში გააფიწრა. ცოტა ხანში ამ ადგილზე დაფნის ხე ამოიზარდა. იმ დღიდან დაფნა აპოლონის ხედ ითვლებოდა. არსებობს ძვ. წ. 360 წელს მოკორი ბერძნული მონეტა, რომელზეც დაფნის ვიკრავინით თავმეკული აპოლონია გამოსახული. კიდევ უფრო ძველია (ძვ. წ. 500 წელი) სპილოს ძვლისაგან დამზადებული ბერძნული ბარელიეფი აპოლონისა და დაფნისის გამოსახულებით.

ასევე, საყურადღებოა ბერძნული ლარნაკი (ძვ. წ. 500 წლისა), რომელზეც გამოსახულია ღვინის ღმერთი დიონისე, გარშემორტყმული ვაზითა და ყურძნის მტევნებით. ვაზთან და დაფნასთან ერთად, იყო ცნობები ძალზე პოპულარული ხეის ზეთისხილი. ბერძნული მითოლოგიის თანახმად, მშვიდობის სიმბოლოდ მიჩნეული ეს მცენარე ათენში ქალღმერთმა ათენამ შეიტანა.

ბევრი ხალხის რწმენით, ხე კოს-მოსური საწყაროს სიმბოლოა. ატე-

კების ცნობილი კალენდარი-სიმბოლო ასახავს საწყაროს, რომლის ცენტრია დედამიწა. მასზე ან მის ირგვლივ ითხი ხე იზრდება. უთხრის აღმოსავლეთი აღმართული, მზისგან ცოცხლობს და განასახიერებს დაბადებას, სამხრეთით, დედამიწის წიაღისად აღმოცენებული ხე აღნიშნავს მსხვეპლად შეწირვას, დასავლეთით, დრკონის სხეულში გახარებული ხე ბნელეთის ალექსიაა. იგი მზის სიკვდილი, სიკოცელის დასამარებას ესადაგება. ჩრდილოეთით აღმოცენებული ხე ცოდვის გამო-სასყიდი ემზღებებთ არის დახუნძლული. იგი ხელახლა დაბადებისა და სიკოცელის გაგრძელების გამოხატავს.

ანალოგიებს ვხვდებით სკანდინავიურ მითოლოგიაშიც. აქ იფინს ხე — იგლარისელი, რომელიც კოსმოსს გამოხატავს, ერთმანეთთან აკავშირებს საწყაროს ორ სკენელს — ზეცასა და მიწას. მისი საშუალებით ღმერთები ზეციდან დედამიწაზე ეშვებიან და საწყაროს შექმნის წმინდა მისისა აღსარულენენ.

საყურადღებოა, რომ მსგავსი ფოლკლორული შეხედულებანი ამჟამადაც გვხვდება სრულიად განსხვავებულ წარმოშობის ხალხებში. მაგალითად, კუნძულ შაირის აჯალოჭართა, წარმოდგენაში ხე ხერხემლის ან ბალავარის სიმბოლია. ისინი თვლიან, რომ ხე ჩონჩხის ნარისახეობაა, რომელსაც ეყრდნობა მთელი სხეული ან იგივე საწყარო. ხე ხიდიცაა. მისი საშუალებით ღმერთების მოციქული ლეგმა მიწაზე ეშვება, გამორჩეულ ადამიანთა სხეულსა და გონებას ეპატრონება და მათ მისწავლად და აჯალოჭებდალ მართდაქმნის.

ტყისადმი თავყანისცემა, მოკრძალება და სიყვარული ქართველ ხალხშიც უძველესი დროიდან მომდინარეობს. პროფესორ ა. ცანავას თქმით, ტყე ქვეყანად ჩვენს მითოლოგიას. გავისწინეთ — ტყემ შეიფარა დევნილი და ქანცამოკლული მინდია.

ივანე დვინის ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, საქართველოში ყველაზე

გავრცელებული იყო მუხისა და ცაცხვის თაყვანისცემა, რასაც მოწმობს „ძველ საქართველოში განთავსებული ჰყონდილი, რაც მეგრულად დიდ მუხას ნიშნავს და, თავდაპირველად, უმჭველია, მუხის მსახურების სალოცავი ადგილი უნდა ყოფილიყო“.

ზემო სვანეთში ჩემი ყურადღება მიიპყრო სალოცავებთან დარგულმა უზარმაზარმა იფნებმა. მათი დიამეტრი ნიადაგიდან 1-1,5 მეტრის სიმაღლეზე არანაკლებ 1,5-2 მეტრია. იფნის ასეთი გოლიათი ეგზემპლარები ბუნებაში თითქმის არ გვხვდება. ზემო სვანეთის სოფლებში წმინდა ხეებად შერაცხული ეს ხეები და მათთან ფიჭვებიც შემკულია მასიური ზარებით. როგორც ჩანს, ჩვენში მუხასთან ერთად, ან იქნებ მასზე მეტადაც, გავრცელებული ყოფილა უთხოვარის (ურთხელის) კულტი. უთგენდა მოგვიტხრობს, რომ ურთხელი თამარ მეფეს გამოუტყდადებია უთხოვრად — წმინდა ან ნაკრძალ ხელ. ოჯახის საჭიროებისათვის მისი გამოყენება თურმე ცოდვად ითვლებოდა.

საქართველოში, სხვა ბევრი ქვეყნის მსგავსად, ეთაყვანებოდნენ არა მარტო ცულკულ ხეებს, არამედ ტყის გარკვეულ მონაკვეთსაც. ასე გაჩნდა ე. წ. „ხატის ტყეები“, რომლებიც დღემდე შემორჩენილი რესპუბლიკის ბევრ კუთხეში, განსაკუთრებით, მთიანეთში.

როგორც ვხედავთ, ხემ თავისი დიდებული გარეგნობით და, რაც კიდევ უფრო მთავარია, თავის მნიშვნელობით, სრულიად სამართიანად დამსახურა ადამიანთაგან პატივისცემა და სიყვარული. მაგრამ ადრე მისადმი მოწიწება უფრო რელიგიური მოსაზრებებით იყო გაპირობებული, დღეს კი ნათელი მოეფინა ხისა და, საერთოდ, მწვანე მცენარის კოსმოსურ მნიშვნელობას. ამიტომაც ადამიანი მეტი პატივით უნდა მოეკიდოს სიცოცხლის ამ პირველწყაროს. დავიხსომით: მწვანე შეგობარს ჩვენგან მეტი ყურადღება სჭირდება.



ტიჭი უღუიბით

თითქოს უჩვეულო არაფერი ხდებოდა იმ საღამოს თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზში: საათზე მეტ ხანს იღვრებოდა ფლეიტის ჯაღისნური ხმა. სრულდებოდა ბახის, ბეთჰოვენის, მოცარტის, შოპენის, შუბერტის, ფალიაშვილის, დოლიძის ნაწარმოებები. ოცაიებზე ბოლო არ უჩანდა...

და მინც უჩვეულო იყო ის საღამო იმიტომ, რომ მსმენელთა წინაშე გამოდიოდა თბილისის 21-ე სამუსი-

კო სკოლის მესამეკლასელი დავით ოძელაშვილი.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 9 წლის დათო მისმა სულემურის მასწავლებელმა, პატიცემულმა შერმაღინ დარჩიაშვილმა შემოიჩვენა კლასში და ძალიანაც მოეო. მაშინ ბიჭუნა მშვენიერად უკრავდა სალამურზე, ფლეიტას კი საერთოდ არ იცნობდა. გამოცა დათოს, როგორც შემსრულებლის, სწრაფმა ზრდამ, სულ ერთი წელი იყო გასული, რაც მან ფლეიტას მოკვდა ხელი და უკვე საქალაქო კონკურსის ლაურეატობა მოიპოვა.


თქმა არ უნდა, დათო ნიჭიერი ბავშვია, მაგრამ რომ არა მისი გულმოდგინება, მინდომება და დიდი შრომისმოყვარეობა, ასეთ წარმატებებს ვერ მიაღწევდა. დათოს სხვა გატაცება აქვს — ჩოგბურთი, და უნდა გითხრათ, აქაც წარმატებებს აღწევს — იგი საქართველოს ნაკრების წევრია თავისი ასაკის მოსწავლეთა შორის. გარდა ამისა, დათო ოძელაშვილი ანსამბლ „ლახტის“ წევრია. თუ მისაც დავძენთ, რომ იგი სასლაფონზეც უკრავს, გიტარაზეც, ფანდურზეც და თან მღერის, ალბათ მიმიხვედბით, რომ მე ვამაყობ ჩემი 12 წლის მოწაფით.

ნოდარ გოფარიბა,
საქართველოს სსრ
დამსახურებული არტიტი
ფოტო მ. მათიველაშვილისა





გაკვეთილი № 2. მარჯიზი ტანვარჯიშული აოსიზი



პარჯიზი № 1

საწყისი მდგომარეობა — ძირითადი დგომი. ჭოხი წინ, წინწნევი, ჭოხი — ზეითი, ვაწნევი — ამოსუნთქვა; საწყის მდგომარეობაში დაბარუნება — მარჯვენა (გამეორება 6-8-ჯერ).

პარჯიზი № 2

საწყისი მდგომარეობა — განიერი ფეხშლით დგომი. ჭოხი წინ ვერტიკალურად, მარჯვენა ხელით ჭოხის შუა ნაწილში ტა-

ცი, მარცხენი — დონეი. ჭოხი პირიზონტალურად — საწყის მდგომარეობაში დაბარუნება; იგივე — მეორე ხელით. სუნთქვა — თავისუფალი. (თითოეული ხელით ვარჯიზის 12-14-ჯერ გამეორება).

პარჯიზი № 3

საწყისი მდგომარეობა — ძირითადი დგომი. ჭოხი ქვეითი. ბუქნი, ჭოხი წინ — ამოსუნთქვა; საწყის მდგომარეობაში დაბარუნება — ჩასუნთქვა (6-8-ჯერ).

პარჯიზი № 4

საწყისი მდგომარეობა — ძირითადი დგომი. ჭოხი წინ, წინწნევი, ჭოხი — ზეითი, ვაწნევი — ამოსუნთქვა; საწყის მდგომარეობაში დაბარუნება — ჩასუნთქვა (6-8-ჯერ).

პარჯიზი № 5

საწყისი მდგომარეობა — განიერი ფეხშლით დგომი. ჭოხი ბეჭებზე, წინევი მარცხენი, საწყის მდგომარეობაში დაბარუნება. იგივე — მარჯვენა, სუნთქვა — თავისუფალი (ორივე მხარეს ვაიმეორებთ 8-4-ჯერ).

პარჯიზი № 6

საწყისი მდგომარეობა — განიერი ფეხშლით დგომი. ჭოხი ბეჭებზე, წინევი მარცხენი — მარცხენი — ჩასუნთქვა; საწყის მდგომარეობაში დაბარუნება — ამოსუნთქვა. იგივე — მარჯვენა (ორივე მხარეს სრულდება 8-4-ჯერ).

პარჯიზი № 7

საწყისი მდგომარეობა — ძირითადი დგომი. ჭოხი ქვეითი. მარცხენა ფეხი დგომი ცერზე, ჭოხი წინ; საწყის მდგომარეობაში დაბარუნება, სუნთქვა — თავისუფალი. იგივე — მეორე ფეხით (6-8-ჯერ).

პარჯიზი № 8

საწყისი მდგომარეობა — ძირითადი დგომი. ჭოხი ქვეითი. წახტომით ფეხშლა, ჭოხი მეორეზე, წახტომით ფეხების შეერთება, ჭოხი ქვეითი; სუნთქვა — თავისუფალი. 80-40 ნახტომის შემდეგ ტემპის შენელებით სიარულზე გადასვლა.

პარჯიზი № 9

საწყისი მდგომარეობა — ძირითადი დგომი. ჭოხი ქვეითი. თავი დახრულია. ცერებზე აწევით ჭოხი ზეითი, ჩასუნთქვა. საწყის მდგომარეობაში დაბარუნება, ამოსუნთქვა (6-8-ჯერ).

თორნიკი სანდნოში

დღილი პატარა ბები ავტობუსით სკოლაში მიდიდა. მთელი გზის განმავლობაში ცხვირში ისე ქსტუნუნებდა, რომ მაგვარებში შეაწუხა. ბოლოს მის ვეერილი მწდომმა ჩენტლმენმა კითხვა:

- ცხვირსახოცი არა გაქვს, ბებიო?
- როგორ არა, სუფთა ცხვირსახოცი მაქვს ჩაბეში, — მოგოა ბებე, — მაგრამ ვერ მოგცემთ, დედად თქვა, უზრდელთაა ხსები ცხვირსახოცის ხმარებაო. თქვენ საკოთარი უნდა გქონდეთ.

ტომის მემკობრნი — ტომ, მოუსმინე დღეს ჩემს პასუხს? წუთო ძალზე ცუდი იყო? მასწავლებელმა ერთიანი დამეწერა. მგონი, ერთიანი არ დამეხმასურებია.

უსიური
რეპორტი

ტომი: — მეც ასე მგონია, რომ არ დავმასურებია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ერთიანი წაუღებო ნიშანი არ არსებობს.

ინგლისურიდან თარგმნა ნანუი მიქაელაძემ

სასკოლო იუზირი

— ამქრად რაღად დავკვიანე? — ცეთხება მასწავლებელი მოსწავლეს.

— იცი, ფეხბურთის მატჩი დამეხმარა. მასამა დამატებით დრო დანიშნა და მეც

ბოლომდე ვუყურე თამაშს, — უნასუნა მიწაფემ.

- ბებია ეკითხება შეილიშვლეს:
- პალკა, რა წიგნს კითხულობ აცეთ, რომ გირი კიდევც?
- ჩემი დღეორია!

— როგორ ვაგვიყო, რომ ჩაიდაწნი წყალი აღდღა? — კითხულობს მასწავლებელი.

- თუ თავსასური ბტუნვას იწყებს, ეცე იგი, წყალი დღეს, — პასუხობს მოწაფე.
- თუ სასურავი არა აქვს?
- მანინ, როცა თვითონ ჩაიდაწნი დავწყებს ბტუნვას.



ნიკი ხერხისთვისაა განკუთვნილი, მეორე — გრძივსათვის, დამჭიმავი მოწყობილობა ცენტრშია მოთავსებული.

● ცერამიკული საფრკვევლა, რომლითაც ავარიკუმს ხაერს აწვდიან, ზოგჯერ იჭედება ხოლმე. აიღე ელვოსპილდის ტუშში. მიღებარ ჩაბრუნე და საფრკვეველა ძვილებურად მოგმესახურება.



● თუ წიბოს ფუნჯი ვერ იბრუნე, ნუ დალოდები: აიღე ბურთულიანი ავტოკალმის ცარიელი პლასტმასის დერო, ზოლო გააშვებ, გრძლივად დასერე და ფუნჯი მზად გექნება.

● მტკიცეკერკლიანი თევზის გაწვენი დასახლისისთვის მუდამ რთული პრობლემაა. თუ გინდა, რომ დედა გააჩარო, ბუნებების ტანისაგან თეთრსავეთი დაწამოზადე ტარი იმ მხარეს გაუციდე საითაც კბილებია დაბარილი მუშაობისას დაწამო 40-ით უნდა დახარო.


● ჩამოცენილი კაფულის მისაყრავად შეგიძლია წარამტებით გამოიყენო აკეტონში გახსნილი შესაფუთავი ქაჟუსპტი. ფილის კუთხეებში დაალოდებო 20x20x20 მმ ზომის ქაჟუსპტის კუბებში დალაგე და თითოეულ მათგანს 20-მწ წვეთი ავტოლონი დაასხი. ჩამდინებ წაშობი ქაჟუსპტი გაიხსნება. ფილა მაშინვე აიღე და შეიღორდე მთავარი კედელს. ნახევარი წუთის შემდეგ წიბო გამაყრადება. ამავე ხერხით შეგიძლია დაწვებო ღონილოდები, ჰარკები, ფეხსაცმლის ლანჩა და ა. შ.

● სარკების გასაკლი ბამბის თოკის შეგიძლია საიმედოდ დააბოთო ფანჯრები. ჩარჩობი გამოიღე და კოლოფის დიობის მთელი პერსონტარს გასწვრივ თოკი გააყრადე. სადაც საჭიროა, იქ წიბოთი დააკარი ან წაწია ლურსმნებით დაამარტე. ფანჯრის დახურვისას თოკი მტკიცედდება და შეიღორდო ავსებს ჩარჩობა და კოლოფს შორის არსებულ ღრეჩრეებს.

● თუ სოფელში ცხოვრობ, შეშის დასაჭერად უფროდ გამოყავდება გამოშული ბერების ნახაზუ გამოსახული ვარჩანტი. მისი ერთი ტანი გა-



ქაჟუსპტი



თოკი



ღამეობი

5. აშხაზაბა — საქმიანი მეგობრობის კეთილმეტყველ (ნაზარაძე)	2
3309)	გარეც.
6. ტანაღუბა — კურდღლები და რინდები (მოთხრობა)	8
7. ფავლინიშვილი — და იხეგ — ცაში... (ნარკვევი)	9
8. შახანაბა — ლექსები	11
9. დიდუბაშვილი — ლექსები	11
ჩვენთან ხტუზობადა უქარიშხლი სახეგუო უტრნალი „პიონერია“	12
შენი უტხოცილი თანატოლები	17
10. იწვი — შეხვედრა (მოთხრობა)	18
ბ. ბაიბანილი — კოსმოსური სიჭარბები (წერილი)	21
ნორკი შემოქმედო კონკურსის მასალები	20
ლ. შახანაბა — მეგობრის პორტრეტი (მოთხრობა)	22
5. ხოშბირა — ბიბი ფელიტო (წერილი)	30
დღლის ჰეიგეფერი ვარკიბი	31
უტხოცილი იუმორი	31
გამოგადგები	32
ცხარაკლიტული	8

ბარბანის პირველ გვირგვინ — თეზაზობა. ფოტოგრაფიული — ირამე გველსინისი; მითობა გვირგვინ — ი. ლეიკოს შერადი ლკინადი

მოვარი რედაქტორი ბაზუღია შენი

სარედაქციო კოლეგია: ბნა პლაზმარეზუმილი, ნაზარაძე აშხაზაბა (პე. ლეიანი), ზურაბ ზოჟაბა, მანანა პელაშვილი, აპონადილი ვარკინიანი, დლორ პალაპორია, ირმა სასონიაძე, პაირო ფოხსიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შახანაბა, სიმონ შაჟრინი, ლიანა შაჟრული, ზურაბ ბუშბურია.

რედაქციის მისამართი: 880098, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მოვარი რედაქტორის — 08-97-05, 08-81-81, პ. მგ. მდენის — 08-97-08, 08-58-05, განყოფილებების — 08-97-02, 08-97-01. ვადაცა ასაწვობად 26. 05. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეგად 1. 07. 87 წ. ქალაქის ფორმატი 80x111/4. ფიზიკური ნახეგლო ფურცელი 4. სააღრცხუო-საგამომცემლო თაბაბი 5,35, შეჯგ 1868. ტირაჟი 181000 ეგვ., უგ 11022.

საქართველოს კ. ცკ-ის გამოცემლობის სტამბა. 880098, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს სასუბო წერილობით არ ეცნობება.

«Пионер», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Адрес редакции: 380098, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Отвечают в типографии издательства ЦК КП Грузии, 380098, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Издательство ЦК КП Грузии, 380098, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Формат 60x90/4, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35. Тираж 181 000 экз. Цена 20 коп.

შეშალად: 1. ვაზის ვიწგი-ტაციის პერიოდში განვითარებული ნაზარდი; 2. ცალკე

4. ქარის, არმიის მართვის ორგანო; 5. ვიეტნამის ლეიქალაქი; 6. მმედართმთავარი,


ავის მდომი; 8. მეარი წამლის ულუფი; 12. შეტკობინება, წრილო-უწყება მიმდების სახელწუ; 18. თუქციის მდინარე; 14. ქალკი ფილოპინესში; 15. გარეთული კომში; 16. საყანედ გაკაფული ტყე; 19. ამერიკული კიორტეისორი; 21. ცეცხლასროლი იარაღის ლულის დამატერი; 22. ოპერა იდაისის პერსონაჟი; 23. ბოლქვიანი მცენარე, ბოსტნეული; 24. ქალკი ბუხარის ოლქში (უზბეკეთის სსრ); 25. ქათამი, რომელსაც წიწილები ჰყავს; 27. შეიბრების შედეგი, რომლის დროსაც არც ერთი მხარე არ არის გამარჯვებული; 29. საქართველოს რაიონული ცენტრი.

თარგუმად: 1. მუხის ნაყოფი; 7. დიდმოწის ამაღლებული ადგილი; 8. მუნებრივი წყალსატევი, რომელიც არ უკავშირდება ზღვასა და ოკეანეს; 10. სავანეში შენობა სახანა მოწყობილობით; 11.



ბურღის საბურუნებელი მექანიზმი; 12. ყალიბი, რის მიხედვითაც ამზადდები ერთნაირ დეტალებს; 18. მდინარე დადესტის ასსრ-ში; 15. მარადმწვანე ბუჩქი; 17. გემის გვერდის კედელი; 18. საშუალო სიმაღლის ხე, ისხასა მომეფო-მეტეკო ნაყოფს; 20. ვაზის მოყვად კუბილო წვაღ-მტენიანი ტყე; 28. ყვავილიბის ვაჟი; 27. ზოგა ბოსტნეულის ან ბალახის ფოთლობისაგან მომზადებულ საჭმელო; 28. შეფუთული ტვირთის, საქონლის სატროო წონა; 20. სუსტი ქარი; 81. ბგერის გამეორება, გამოძახილი; 82. სოფელი ონის რაიონში.

ალ. გოგინიშვილი




ხადგომი ბინაში ან დაწესებულებაში; 8. პატარა წიგნი;

სამოქალაქო და სამამულე ომების გმირი; 7. ვინმესთვის

იცით მათი ნამდვილი გვარები?

ქვემოთ ჩამოთვლილია ქართველ მწერალთა ფსევდონიმები. თუ „წიგნის“ სტრიქონებში ჩაწერთ გამოტოვებულ ასოებს, მიიღებთ ამ მწერალთა ნამდვილ გვარებს.

1. უიარაღო;
2. შიო არავგისპირელი;
3. ლეო ქიჩიელი;
4. სანდრო ეული;
5. ეგნატე ნინოშვილი;
6. იოსებ გრიშაშვილი;
7. ალიო მამაშვილი;
8. დუტუ მეგრელი;
9. მიხეილ ჭავჭავიძე;



10. მეველე;
11. ვფა-ფშაველა;
12. ლალიანი;
13. მარიჭანი;
14. გიორგი ქუჩიშვილი;

15. ბესიცი;
16. ირილონი ევლოშვილი.

შეადგინა რამეზ მთაბრინვაძე

გ ა მ ო ც ა ნ ა ბ ი

უსათოოდ მიხიხვდება, ვინც სკოლაში კარგად სწავლობს; რა არის, რომ წელიწადში ოსტეგერ იცდებს ტანისამოსს?

ერთი ქაისი და გვირის, არ ემინათ ხვატბს, არც წყინისა და ქარის, მხენულ-მთესველია ერთი, მეორე — მეომარი.

ბუნებრივი ბუხარია, თუ მშვილია, წყნარად ბოლავს, თუ გაქარავს — მჭუხარეა, ფერფლს და ციციქლს და ლოდებს იხერის, გუგუნებს და უხარია.

ორი დეგემარი ვიცი,

ხელგანწერი ორ მეგონოთ,


ნ. მარინი

პასუხი № 8-ში
„მითიასაშუალ-სახარკი მწერალნი“
კროსკოპოდი

- თარგუმად: 1. მანკენი;
4. სარღიანი;
 7. კიბერნეტეკა;
 10. ფრონტი;
 11. არტელი;
 12. სტეფი;
 15. არტისტი;
 16. თეატრია;
 17. მიტკალი;
 18. „ოლიქტარა“;
 28. შარირი;
 25. ალიონი;
 26. მუხინა;
 27. მორატორიუმი;
 28. იროლოცო;
 29. არამეკიო.
- შეშალად: 1. მეტაფორა;
2. კაოტა;
 8. იარკებტი;
 4. სტეკა;
 5. დოკერი;
 6. ინტუიცია;
 8. კონტრატუცია;
 9. მესოპოტამია;
 18. სტალი;
 14. გესლი;
 17. მარხალი;
 19. ანდამბტი;
 20. პალტრა;
 21. არტერია;
 22. ანგოლა;
 24. შუაშო.

გ ა მ ო ც ა ნ ა ბ ი

იციცინათელა ბაზაფრული სპილენძი ნავთის ლამაზული, კამრცანი ტაუთილი ანარკალი სარკაშო



გლინიცეველ ნორს ხელგარჯებით ნახელაპი
უფროსეხსაც ვისწრთ

სარბეაქსა თლითიური ნახეიონის,
ე კარიტქს ნახეიონი



სული
თქვე



ნორი ტეინონსეხეი სანეკეპერი

კივივის 70-ე წეოლი თეეუბეაეი
ოჩის პებეაქსე

